Ehrendoktor (M.) საპატიო დოქტორი.

Ehrengericht (N.) ე.წ. ეთიკის სასამართლო.

Ehrenrecht (N.) საპატიო უფლება.

Ehrenstrafe (F.) დასჯის ფორმა, რომელიც უკავშირდება პატივის აყრას და დამცირებას.

Ehrenwort (N.) პატიოსანი სიტყვა.

Ehrverletzung (F.) პატივის შელახვა.

Eid (M.) ფიცი.

eidesmündig ფიცის დასადებად საჭირო ასაკის მქონე.

Eidesmündigkeit (F.) სასამართლოს წინაშე ფიცის დადების უნარი.

eidesstattlich ფიცის ძალის მქონე.

eidesstattliche Versicherung (F.) წერილობითი დასტური, რომელსაც ფიცის ძალა აქვს.

Eifersucht (F.) ეჭვიანობა.

eifersüchtig ეჭვიანი.

eigen 1. საკუთარი; 2. თავისებური.

Eigenbedarf (M.) 1. საკუთარი საჭიროება; 2. გამჭირავებლისათვის გაჭირავებული საცხოვრებელი სადგომის გამოყენების საჭიროება (სამოქ.).

Eigenbesitz (M.) მფლობელობა.

Eigenbesitzer (M.) მფლობელი.

Eigenbetrieb (M.) კომუნალური საწარმო.

eigener Wirkungskreis (M.) თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური კომპეტენცია.

eigenes Kapital საკუთარი კაპიტალი.

Eigengeschäftsführung (F.) საკუთარი საქმის გაძღოლა.

eigenhändig 1. საკუთარი ხელით; 2. პირადად.

Eigenhändler (M.) სავაჭრო ურთიერთობებში საკუთარი სახელით მონაწილე პირი.

Eigenheim (N.) საკუთარი სახლი.

Eigenjagdbezirk (M.) საკუთარი სამონადირეო სავარგული.

Eigenkapital (N.) საკუთარი კაპიტალი.

Eigenmacht (F.) თვითნებობა.

Eigenname (M.) საკუთარი სახელი, დასახელება.

Eigenschaft (F.) 1. თვისება; 2. ხარისხი.

Eigentum (N.) საკუთრება.

Eigentümer (M.) მესაკუთრე.

Eigentümerhypothek (F.) მესაკუთრის იპოთეკა.

Eigentumsaufgabe (F.) საკუთრებაზე უარის თქმა ნივთის მფლობელობის მიტოვების გზით.

Eigentumserwerb (M.) საკუთრების შეძენა.

Eigentumsherausgabanspruch (M.) ვინდიკაცია, მესაკუთრის უფლება გამოითხოვოს ნივთი უკანონო მფლობელობიდან.

Eigentumsstörung (F.) საკუთრების ხელშეშლა.

Eigentumsübertragung (F.) საკუთრების გადაცემა.

Eigentumsverlust (M.) საკუთრების დაკარგვა.

Eigentumsvermutung (F.) მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია.

Eigentumsvorbehalt (M.) პირობადადებული საკუთრება.

Eigentumswohnung (F.) საკუთრებაში არსებული ბინა.

Eignung (F.) გამოსადეგობა, უნარიანობა.

Einantwortung (F.) მამკვიდრებლის ქონების გადასვლა მემკვიდრეზე სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე (ავსტრიაში).

Einbahnstraße (F.) გზა ცალმხრივი მოძრაობით.

einbehalten 1. შენარჩუნება; 2. დატოვება.

einbenennen გვარის მიკუთვნება.

Einbenennung (F.) ბავშვისთვის გვარის მიკუთვნება იმ მშობლი-

სა და მისი მეუღლის მიერ, რომელთანაც იგი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ.

einberufen მონვევა (მაგ. კრების).

einbeziehen 1. ჩართვა; 2. გათვალისწინება.

Einbeziehung (F.) 1. ჩართვა; 2. გათვალისწინება.

einbrechen უკანონო შეღწევა.

Einbrecher (M.) უკანონო შეღწევის ჩამდენი.

einbringen 1. მიწოდება; 2. წარდგენა; 3. შეტანა.

Einbringung (F.) 1. მიწოდება; 2. წარდგენა; 3. შეტანა.

Einbruch (M.) უკანონო შეღწევა.

Einbruchsdiebstahl (M.) ქურდობა ჩადენილი ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

einbürgern მოქალაქეობის მინიჭება განცხადების საფუძველზე.

Einbürgerung (F.) ნატურალიზაცია, მოქალაქეობის მინიჭება განცხადების საფუძველზე.

eindringen შეჭრა.

Einfuhr (F.) 1. შემოტანა; 2. იმპორტი.

einführen 1. შემოღება; 2. დაწერვა; 3. იმპორტირება; 4. შემოტანა.

Einführung (F.) 1. შემოღება; 2. დაწერვა.

Einführungsgesetz (N.) კანონის ცვლილებისას გამოცემული დამატებითი კანონი, რომელიც აწესრიგებს კანონის ცვლილებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ

Eingabe

დეტალებს, მაგალითად, როგორიცაა გარდამავალი დებულებები და სხვა.

Eingabe (F.) 1. პეტიცია; 2. თხოვნა; 3. შუამდგომლობა.

eingehen 1. დათანხმება; 2. შესვლა.

Eingehungsbetrug (M.) მოტყუება ხელშეკრულების დადებისას.

eingetragen, registriert რეგისტრირებული.

eingetragene Genossenschaft (F.) რეგისტრირებული კოოპერატივი.

eingetragener Verein (M.) (e.V.) რეგისტრირებული კავშირი.

eingreifen 1. ჩარევა; 2. შეჭრა.

Eingriff (M.) 1. ჩარევა; 2. ხელყოფა.

Eingriffskondition (F.) უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება.

Eingriffsverwaltung (F.) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ნაწილი, რომელიც მოქალაქეთა უფლებებში ჩარევას ითვალისწინებს.

einhalten 1. დაცვა; 2. შესრულება.

Einhaltung (F.) 1. დაცვა; 2. შესრულება.

einheimisch 1. სამამულო; 2. ადგილობრივი.

Einheit (F.) 1. ერთიანობა; 2. ქვედანაყოფი; 3. ერთეული.

einheitlich 1. ერთიანი; 2. ერთგვაროვანი; 3. უნიფიცირებული.

Einheitliche Europäische Akte (F.) ერთიანი ევროპული აქტი.

einheitliches Kaufrecht (N.) ერთიანი სავაჭრო კანონმდებლობა.

Einheitsstrafe (F.) ერთიანი სასჯელი არასრულწლოვანთა მიმართ.

Einheitswert (M.) ობიექტის ერთიანი ღირებულება.

einig 1. ერთიანი; 2. შეთანხმებული.

einigen 1. შეთანხმება; 2. მორიგება.

Einigung (F.) 1. გაერთიანება; 2. შეთანხმება; 3. მორიგება.

Einigungsmangel (M.) ნაკლოვანი შეთანხმება.

Einigungsstelle (F.) საწარმოს შიდაგანანესით შექმნილი სამომრიგებლო ორგანო.

Einigungsvertrag (M.) ხელშეკრულება გერმანიის გაერთიანების შესახებ.

Einkammersystem (N.) ერთპალატიანი სისტემა.

Einkauf (M.) 1. ყიდვა; 2. შეძენა; 3. შესყიდვა.

Einkaufskommission (F.) შესყიდვების კომისია.

Einkaufspreis (M.) შესასყიდი ფასი.

einklagen სარჩელის შეტანა.

Einkommen (N.) შემოსავალი.

Einkommensteuer (F.) საშემოსავლო გადასახადი.

Einkommensteuergesetz (N.) კანონი საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

Einkünfte შემოსავალი.

Einladung (F.) მოწვევა.

Einlage (F.) 1. ანაბარი; 2. ინვესტიცია; 3. შენატანი.

Einlassung (F.) მოპასუხე მხარის შესაგებელი სარჩელზე.

Einlassungsfrist (F.) სარჩელზე შესაგებლის წარდგენის ვადა.

einlegen 1. საჩივრის შეტანა; 2. აპელაციის შეტანა; 3. ანგარიშზე თანხის შეტანა.

Einleger (M.) მენაბრე.

einliefern 1. მიტანა; 2. მიწოდება.

Einmannengesellschaft (F.) საზოგადოება, რომელიც მთლიანად ერთ პირს ეკუთვნის.

einmischen ჩარევა.

Einmischung (F.) ჩარევა.

Einnahme (F.) 1. შემოსავალი; 2. ნავაჭრი.

einnehmen 1. დაკავება; 2. მიღება; 3. ინკასირება.

einräumen აღიარება.

Einrede (F.) მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი.

einreichen 1. მიწოდება; 2. შეტანა; 3. წარმოდგენა.

einrichten 1. ორგანიზება; 2. გამართვა; 3. დანესება.

Einrichtung (F.) 1. დანესებულება; 2. ორგანიზაცია; 3. მოწყობილობა.

einschlägig 1. შესაბამისი; 2. სათანადო.

einschließen 1. დაკეტვა; 2. ჩაკეტვა.

Einschließung (F.) 1. ჩაკეტვა; 2. ჩართვა; 3. შეერთება; 4. პატიმრობაში აყვანა.

einschränken 1. შეზღუდვა; 2. შემცირება.

Einschränkung (F.) 1. შეზღუდვა; 2. შემცირება.

Einschreiben (N.) შეკვეთილი წერილი.

einschreiben 1. დარეგისტრირება; 2. ჩანერა.

einschreiten 1. ჩარევა; 2. ზომების მიღება.

einsehen 1. გადახედვა; 2. გაცნობა; 3. გაცნობიერება.

einseitig ცალმხრივი.

einseitig verpflichtend ცალმხრივად მავალდებულებელი.

einseitiges Rechtsgeschäft (N.) ცალმხრივი გარიგება.

einsetzen 1. გამოყენება; 2. ჩართვა; 3. ამოქმედება.

Einsetzung (F.) 1. გამოყენება; 2. ჩართვა; 3. ამოქმედება.

Einsicht (F.) 1. გადახედვა; 2. გაცნობა; 3. გაცნობიერება.

einsichtsfähig ქმედების არამართლზომიერი ბუნების გაცნობიერების უნარის მქონე.

Einsichtsfähigkeit (F.) ქმედების არამართლზომიერი ბუნების გაცნობიერების უნარი.

einsperren 1. ჩაკეტვა; 2. დაპატიმრება.

Einspruch (M.) საჩივარი; ~ einlegen საჩივრის შეტანა.

Einspruchsgesetz (N.) კანონი, რომელიც არ საჭიროებს ბუნდესრატის მხრიდან თანხმობას.

einstehen 1. თავდებობა; 2. პასუხისმგებლობის აღება.

einstellen 1. შეწყვეტა; 2. სამუშაოზე აყვანა.

Einstellung (F.) 1. შეწყვეტა; 2. სამუშაოზე აყვანა.

Einstellungsbeschluss

Einstellungsbeschluss (M.) განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

einstweilig 1. დროებითი; 2. წინასწარი.

einstweilige Anordnung (F.) 1. დროებითი განკარგულება; 2. სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

einstweilige Verfügung (F.) იხ. einstweilige Anordnung.

einstweiliger Ruhestand (M.) დროებითი გადადგომა.

Eintrag (M.) 1. ჩანაწერი; 2. რეგისტრაცია.

eintragen 1. ჩანერა; 2. დარეგისტრირება; 3. შეტანა.

Eintragung (F.) 1. ჩანერა; 2. რეგისტრაცია; 3. შეტანა.

Eintragungsbewilligung (F.) 1. თანხმობა დარეგისტრირებაზე; 2. თანხმობა საჯარო რეესტრში ჩასაწერად.

Eintragungsfähigkeit (F.) 1. დარეგისტრირების უნარი; 2. საჯარო რეესტრში ჩანერის შესაძლებლობა.

eintreiben ამოღება (მაგ. ვალის).

eintreten 1. შესვლა; 2. განვერინება; 3. ჩანაცვლება.

Eintritt (M.) 1. შესვლა; 2. დადგომა (მაგ. პირობის).

Eintrittsrecht (N.) 1. შესვლის უფლება; 2. ჩანაცვლების უფლება.

einverleiben 1. შემოერთება; 2. ანექსია.

Einverleibung (F.) 1. შემოერთება; 2. ანექსია.

Einvernahme (F.) დაკითხვა.

Einvernehmen (N.) ურთიერთთანხმობა.

einvernehmen დაკითხვა.

Einverständnis (N.) 1. თანხმობა; 2. შეთანხმება.

Einwand (M.) პროტესტი; ~ erheben გაპროტესტება.

Einwanderer (M.) იმიგრანტი.

einwandern იმიგრირება.

Einwanderung (F.) იმიგრაცია.

einweisen 1. მიმართულების მიცემა; 2. ინსტრუქციის, მითითების მიცემა; 3. განთავსება, გამწვანება.

Einweisung (F.) გამწვანება, განთავსება (მაგ. კლინიკაში).

einwenden შესაგებლის წარდგენა.

Einwendung (F.) მოთხოვნის შემწყვეტი (წარმოშობის შემაფერხებელი) შესაგებელი.

einwilligen დათანხმება.

Einwilligung (F.) თანხმობა.

einwirken 1. ზეგავლენის მოხდენა; 2. ზემოქმედების მოხდენა.

Einwirkung (F.) 1. ზეგავლენა; 2. ზემოქმედება.

Einwohner (M.) მაცხოვრებელი.

einzahlen გადახდა.

Einzahlung (F.) 1. გადახდა; 2. ფულადი შენატანი.

Einzelhaft (F.) პატიმრობა, როდესაც პატიმარი ცალკე საკანშია მოთავსებული.

Einzelhandel (M.) საცალო ვაჭრობა.

Einzelhändler (M.) საცალო მოვაჭრე.

Einzelkaufmann (M.) სავაჭრო და-
წესებულების ერთპიროვნული მე-
საკუთრე.

Einzelrechtsnachfolge (F.) ნაწი-
ლობრივი უფლებამონაცვლეობა
(მაგ. ცალკეული უფლების ან
ვალდებულების და არა ყველა
უფლება-მოვალეობის); შდრ. **Ges-
amtrechtsnachfolge**.

Einzelrichter (M.) ერთპიროვნული
გადაწყვეტილების მიღების უფ-
ლებამოსილების მქონე მოსა-
მართლე.

Einzelvollmacht (F.) ცალკეული
მოქმედების განხორციელებაზე
გაცემული მინდობილობა.

einziehen 1. ჩამორთმევა; 2. კონ-
ფისკაცია.

Einziehung (F.) 1. ჩამორთმევა; 2.
კონფისკაცია.

Einziehungsermächtigung (F.) ინკა-
სირების უფლებამოსილების მი-
ნიჭება.

Einziehungsverfahren (N.) კონფის-
კაციის, ჩამორთმევის პროცედუ-
რა.

elektronisch ელექტრონული.

elektronische Datenverarbeitung (F.) (EDV) მონაცემთა ელექტრო-
ნული დამუშავება.

elterlich მშობლიური.

elterliche Gewalt (F.) მშობლების
ძალაუფლება შვილებზე.

elterliche Sorge (F.) მშობლების
ზრუნვა შვილების მიმართ.

Eltern (Pl.) მშობლები.

Elternzeit (F.) შვებულება ბავშვის
მოვლის საფუძველზე.

E-Mail (N.) ელექტრონული ფოს-
ტა.

Emanzipation (F.) ემანსიპაცია.

emanzipieren ემანსიპირება.

Embargo (N.) ემბარგო

Embryo (M.) ემბრიონი.

emeritieren ემერიტუსის ნოდების
მინიჭება.

Emeritierung (F.) ემერიტუსის ნო-
დების მინიჭება.

Emigrant (M.) ემიგრანტი.

Emigration (F.) ემიგრაცია.

emigrieren ემიგრირება.

Emission (F.) 1. ემისია; 2. ფულის
ან ფასიანი ქაღალდების მიმოქ-
ცევაში გაშვება.

emittieren ემისიის განხორციე-
ლება.

Empfang (M.) მიღება.

empfangen მიღება.

Empfänger (M.) 1. მიმღები; 2. ად-
რესატი.

Empfängerhorizont (M.) შესრულე-
ბის ან ნებისმიერი ქმედების ად-
რესატის მიერ აღნიშნული ქმე-
დების განმარტების ობიექტური
შესაძლებლობა

Empfängnis (F.) ნაყოფის ჩასახვა.

Empfängniszeit (F.) ნაყოფის ჩასახ-
ვის დრო.

empfangsbedürftig მიღებასავალ-
დებულ.

Empfangsbedürftigkeit (F.) მიღება-
სავალდებულობა.

empfehlen რეკომენდაციის მიცემა.

Empfehlung (F.) რეკომენდაცია.

Endurteil (N.) საბოლოო გადაწყვე-
ტილება.

Energie

Energie (F.) ენერგია.

Energieentziehung (F.) ელექტრო-ენერჯის დატაცება.

Energierecht (N.) ენერჯის წარმოების მარეგულირებელი სამართალი.

Energieversorgungsunternehmen (N.) ელექტრომომარაგებელი კომპანია.

Enkel (M.) შვილიშვილი.

Enklave (F.) ანკლავი.

Enquête (F.) გამოძიება.

Enquêtekommision (F.) კონკრეტული საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია ბუნდესტაგში.

Enquêterecht (N.) ბუნდესტაგის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება.

Entdeckung აღმოჩენა.

enteignen საკუთრების ჩამორთმევა სათანადო კომპენსაციით.

Enteignung (F.) ექსპროპრიაცია, საკუთრების ჩამორთმევა სათანადო კომპენსაციით.

enteignungsgleicher Eingriff (M.) ექსპროპრიაციის ეკვივალენტური ჩარევა.

enterben კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

Enterbung (F.) კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

entfalten 1. გაშლა; 2. განვითარება; 3. გამოვლენა.

Entfaltung (F.) 1. გაშლა; 2. განვითარება; 3. გამოვლენა.

entfernen დაშორება.

Entfernung (F.) 1. მანძილი; 2. (ჩა-)მოშორება.

entfremden გაუცხოება.

Entfremdung (F.) გაუცხოება.

entführen გატაცება.

Entführer (M.) გამტაცებელი.

Entführung (F.) გატაცება.

entgangener Gewinn (M.) მიუღებელი სარგებელი.

Entgelt (N.) ანაზღაურება.

entgelten 1. გადახდა; 2. გამოსყიდვა; 3. ანაზღაურება.

Entgeltfortzahlung (F.) შრომის ანაზღაურების გაცემა დასაქმებულზე დასვენების დღეებისა და ავადმყოფობის პერიოდისთვის.

Entgeltfortzahlungsgesetz (N.) კანონი დასვენების დღეებისა და ავადმყოფობის პერიოდისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ.

entgeltlich ანაზღაურებადი.

Entgeltlichkeit (F.) ანაზღაურებადობა.

enthaften პატიმრობიდან გათავისუფლება.

Enthaffung (F.) პატიმრობიდან გათავისუფლება.

enthalten (V.) 1. შემცველობა; 2. თავის შეკავება.

Enthaltung (F.) 1. შემცველობა; 2. თავის შეკავება.

enthaupten თავის მოკვეთა.

Enthauptung (F.) თავის მოკვეთა.

entkolonialisieren დეკოლონიზაცია.

Entkolonialisierung (F.) დეკოლონიზაცია.

entlassen (V.) 1. გაშვება; 2. გათავისუფლება; 3. დათხოვნა.

Entlassung (F.) 1. გათავისუფლება; 2. დათხოვნა.

entlasten 1. პასუხისმგებლობის, ვალდებულების მოხსნა; 2. გათავისუფლება.

Entlastung (F.) 1. ვალდებულებისგან, გადასახადისგან, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება; 2. განუვლი საქმიანობის დადებითად შეფასება (კორპ.); 3. ბრალის მოხსნა.

Entlastungsbeweis (M.) პასუხისმგებლობისგან, ბრალდებისაგან განმათავისუფლებელი მტკიცებულება.

entleihen თხოვება.

entmündigen მეურვეობის დაწესება.

Entmündigung (F.) მეურვეობის დაწესება.

Entnahme (F.) 1. ნიმუშის აღება; 2. ამოღება.

entnehmen 1. აღება; 2. ამოღება.

entschädigen 1. კომპენსირება; 2. ანაზღაურება.

Entschädigung (F.) 1. კომპენსაცია; 2. ანაზღაურება.

Entscheid (M.) გადაწყვეტილება.

entscheiden 1. გადაწყვეტა; 2. გადაწყვეტილების გამოტანა.

Entscheidung (F.) გადაწყვეტილება (მაგ. სასამართლოს).

Entscheidung nach Lage der Akten (F.) დოკუმენტების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება

(მაგ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის).

Entscheidungsgrund (M.) 1. გადაწყვეტილების საფუძველი; 2. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი.

Entscheidungssammlung (F.) სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული.

entschließen გადაწყვეტა.

Entschluss (M.) გადაწყვეტილება.

entschuldigen პატიება.

entschuldigender Notstand (M.) უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც გამორიცხავს ბრალს.

Entschuldigung (F.) პატიება.

Entschuldigungsgrund (M.) ბრალის გამომრიცხველი გარემოება.

Entsorgung (F.) ნარჩენებისგან გათავისუფლება, გადაყრა.

entwenden წვრილმანი ქურდობა.

Entwendung (F.) წვრილმანი ქურდობა.

entwickeln 1. განვითარება; 2. შემუშავება.

Entwicklung (F.) 1. განვითარება; 2. შემუშავება.

Entwicklungskriminalität (F.) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

entwidmen საჯარო სამართლებრივი სტატუსის ჩამორთმევა.

Entwidmung (F.) საჯარო სამართლებრივი სტატუსის ჩამორთმევა.

Entwurf (M.) 1. პროექტი; 2. გეგმა; 3. მონახაზი.

entziehen ჩამორთმევა.

Entziehung

Entziehung (F.) ჩამორთმევა.

Entziehungsanstalt (F.) სპეციალური სამკურნალო დაწესებულება ნარკომანთა და ალკოჰოლიკთა მკურნალობისთვის.

Entzug (M.) 1. ჩამორთმევა; 2. კონფისკაცია.

Enumeration (F.) ჩამოთვლა.

enumerativ ჩამოთვლილი.

Enzyklika (F.) ენციკლიკა, რომის პაპის მიმართვა.

Enzyklopädie (F.) ენციკლოპედია.

Erbanfall (M.) მამკვიდრებლის ქონების გადასვლა მემკვიდრეზე.

Erbausgleich (M.) სამკვიდროს წილის გათანაბრება.

Erbbaurecht (N.) აღნაგობა.

Erbbauzins (M.) შეთანხმებული გადასახადი მესამე პირის ნაკვეთზე მშენებლობის უფლებით სარგებლობისთვის.

erbbiologisch მემკვიდრეობით-ბიოლოგიური.

erbbiologisches Gutachten (N.) გენეტიკურ-ბიოლოგიური ექსპერტიზა.

Erbe (M.) მემკვიდრე.

Erbe (N.) მემკვიდრეობა.

Erbeinsetzung (F.) მემკვიდრის დანიშვნა.

erben მემკვიდრეობის მიღება.

Erbengemeinschaft (F.) იმ პირთა ერთობლიობა, რომლებიც მემკვიდრეებს წარმოადგენენ, თანამემკვიდრეები.

Erbenhaftung (F.) მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა.

Erbersatzanspruch (M.) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლება სამკვიდროს წილის შესაბამის კომპენსაციაზე.

Erbfall (M.) სამკვიდროს გახსნა.

Erbfolge (F.) მემკვიდრეობა.

Erblasser (M.) 1. მამკვიდრებელი; 2. მოანდერძე.

erblich მემკვიდრეობით.

Erbpacht (F.) მშენებლობის მემკვიდრეობითი უფლება.

Erbrecht (N.) 1. მემკვიდრეობის სამართალი; 2. მემკვიდრეობის უფლება.

Erbschaft (F.) 1. მემკვიდრეობა; 2. სამკვიდრო.

Erbschaftsanspruch (M.) მემკვიდრის მოთხოვნა სამკვიდროს მფლობელის მიერ სამკვიდრო ქონების გადმოცემის თაობაზე.

Erbschaftsbesitzer (M.) სამკვიდროს მფლობელი.

Erbschaftserwerber (M.) სამკვიდროს შემძენი.

Erbschaftskauf (M.) ხელშეკრულება სამკვიდროს ყიდვის შესახებ.

Erbschaftsklage (F.) სარჩელი სამკვიდროს მოთხოვნის შესახებ.

Erbschaftsteuer (F.) სამემკვიდრეო ქონების გადასახადი.

Erbschein (M.) სამკვიდრო მოწმობა.

Erbschleicher (M.) სამკვიდროს გამომძალველი.

Erbstück (N.) მემკვიდრეობით მიღებული ნივთი.

Erbteil (M.) სამკვიდროს წილი.

erbunfähig მემკვიდრედ ყოფნის უფლების არმქონე.

Erbunfähigkeit (F.) მემკვიდრედ ყოფნის უფლების არქონა.

erbunwürdig უღირსი მემკვიდრე.

Erbunwürdigkeit (F.) მემკვიდრის უღირსობა.

Erbvertrag (M.) ხელშეკრულება მემკვიდრეობის შესახებ.

Erbverzicht (M.) სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა.

ereignen (sich ereignen) 1. მოხდენა; 2. ადგილის ქონა.

Ereignis (N.) 1. მოვლენა; 2. შემთხვევა.

erfahren (V.) 1. გაგება; 2. შეტყობა.

Erfahrung (F.) გამოცდილება.

erfassen 1. გაგება; 2. აღრიცხვა; 3. მოცვა.

Erfassung (F.) 1. გაგება; 2. აღრიცხვა; 3. მოცვა.

erfinden გამოგონება.

Erfinder (M.) გამომგონებელი.

Erfindung (F.) გამოგონება.

Erfolg (M.) 1. წარმატება; 2. შედეგი.

Erfolgsabwendung (F.) შედეგის თავიდან აცილება.

Erfolgsabwendungspflicht (F.) შედეგის თავიდან აცილების ვალდებულება.

Erfolgssdelikt (N.) შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი.

Erfolgshaftung (F.) პასუხისმგებლობა შედეგისთვის ბრალის მიუხედავად.

Erfolghonorar (N.) ჰონორარი, რომელიც მიღწეული შედეგით განისაზღვრება.

Erfolgsort (M.) შედეგის დადგომის ადგილი.

erforderlich 1. აუცილებელი; 2. საჭირო.

Erforderlichkeit (F.) 1. აუცილებლობა; 2. საჭიროება.

erfordern 1. მოთხოვნა; 2. საჭიროება.

Erfordernis (N.) მოთხოვნა.

erfüllbar შესრულებადი.

Erfüllbarkeit (F.) შესრულებადობა.

erfüllen შესრულება.

Erfüllung (F.) შესრულება.

Erfüllungsbetrug (M.) მოტყუება ვალდებულების შესრულებისას.

Erfüllungshilfe (M.) დამხმარე ვალდებულების შესრულებისას.

Erfüllungsgeschäft (N.) გარიგება, რომელიც მოთხოვნის შესრულებისკენა მიმართული.

Erfüllungsinteresse (N.) ვალდებულების შესრულების ინტერესი.

Erfüllungsort (M.) ვალდებულების შესრულების ადგილი.

Erfüllungsübernahme (F.) ვალდებულების შესრულების საკუთარ თავზე აღება.

Erfüllungsverweigerung (F.) უარის თქმა ვალდებულების შესრულებაზე.

ergänzen 1. დამატება; 2. შევსება.

ergänzende Vertragsauslegung (F.) ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება.

Ergänzung

Ergänzung (F.) 1. შევსება; 2. დამატება.

Ergänzungspflegschaft (F.) ქონების მეურვეობა.

Ergänzungsurteil (N.) დამატებითი გადაწყვეტილება.

Erhalt (M.) 1. მიღება; 2. შენახვა.

erhalten (V.) 1. მიღება; 2. შენახვა.

erheben აკრეფა, ამოღება (საგად.).

erheblich 1. მნიშვნელოვანი; 2. არსებითი.

Erhebung (F.) 1. აკრეფა (საგად.); 2. გამოკვლევა.

erhöhen 1. გაზრდა; 2. მომატება.

Erhöhung (F.) 1. გაზრდა; 2. მომატება.

erinnern 1. გახსენება; 2. შესხენება.

Erinnerung (F.) 1. მოგონება; 2. შესხენება.

erkennen 1. ცნობა; 2. ამოცნობა.

Erkenntnis (F.) შეცნობა; 2. დასკვნა.

Erkenntnisverfahren (N.) სამოქალაქო საქმის განხილვა ფაქტობრივი გარემოებების განმხილველ ინსტანციაში.

erklären 1. ახსნა, განმარტება; 2. განცხადების გაკეთება.

Erklärung (F.) 1. ახსნა, განმარტება; 2. განცხადება; 2. დეკლარაცია.

Erklärungsirrtum (M.) შეცდომა ნების გამოვლენისას.

Erklärungstheorie (F.) თეორია ნების გამოვლენის გარეგნული გამოსატვის პირველხარისხოვნობის შესახებ.

Erklärungswille (M.) სამართლებრივი მნიშვნელობის ნების გამოვლენის სურვილი.

erkundigen გარკვევა.

Erkundigung (F.) გარკვევა.

Erlass (M.) 1. ბრძანებულება; 2. დეკრეტი; 3. განთავისუფლება; 4. ვალის პატიება (სამოქ.).

erlassen 1. გამოცემა; 2. განთავისუფლება.

erlauben ნების დართვა.

Erlaubnis (F.) ნებართვა.

Erlaubnisirrtum (M.) შეცდომა ქმედების ნებადართულობასთან დაკავშირებით.

Erlaubnisvorbehalt (M.) დათქმა ნებართვის მიღების აუცილებლობის შესახებ.

erlaubt 1. ნებადართული; 2. დაშვებული.

erläutern ახსნა-განმარტება.

Erläuterung (F.) ახსნა-განმარტება.

erledigen 1. მოგვარება; 2. დარეგულირება.

Erlödigung (F.) 1. მოგვარება; 2. დარეგულირება.

Erlös (M.) 1. მიღებული შემოსავალი; 2. მოგება.

Erlöschen (N.) 1. გაქარწყლება; 2. შეწყვეტა.

erlöschen 1. გაქარწყლება; 2. შეწყვეტა.

ermächtigen უფლებამოსილების მინიჭება.

Ermächtigung (F.) 1. უფლებამოსილება; 2. უფლებამოსილების მინიჭება.

Ermächtigungsgesetz (N.) კანონი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

Ermächtigungsgrundlage (F.) აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედების (უფლებამოსილების) სამართლებრივი საფუძველი.

ermahnen 1. შეხსენება; 2. გაფრთხილება.

Ermahnung (F.) 1. შეხსენება; 2. გაფრთხილება.

ermäßigen შემცირება.

Ermäßigung (F.) 1. შემცირება; 2. შელავათი.

Ermessen (N.) 1. შეხედულება; nach billigem ~ სამართლიანი შეხედულების მიხედვით; 2. დისკრეტია (ადმ.).

ermessen 1. გაზომვა; 2. შეფასება.

Ermessensfehler (M.) შეცდომა დისკრეტული უფლებამოსილების გამოყენებისას (ადმ.).

Ermessensmangel (M.) დისკრეტული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გადანყვებილების მიღებისას გარემოებებისა და შესაძლებლობების არასაკმარისად გამოკვლევა (ადმ.).

Ermessensmissbrauch (M.) დისკრეტული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (ადმ.).

Ermessensnichtgebrauch (M.) კანონით მინიჭებული დისკრეტული უფლებამოსილების გამოუყენებლობა (ადმ.).

Ermessensreduzierung (F.) დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვა (ადმ.).

Ermessensüberschreitung (F.) დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლების გადაცილება (ადმ.).

Ermessensunterschreitung (F.) დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლების არასრული გამოყენება (ადმ.).

ermitteln 1. დადგენა; Preis ~ ფასის დადგენა; 2. ძებნა; Beklagten ~ მოპასუხის მოძებნა; 3. მოკვლევა.

Ermittler (M.) 1. მომკვლევ; 2. დეტექტივი; 3. გამომძიებელი.

Ermittlung (F.) 1. დადგენა; 2. გამოძიება; 3. მოკვლევა.

Ermittlungsbeamter 1. მომკვლევ; 2. გამომძიებელი.

Ermittlungsrichter (M.) გამომძიების მოსამართლე.

Ermittlungsverfahren (N.) საგამომძიებო წარმოება, გამოძიება.

ernennen დანიშვნა.

Ernennung (F.) დანიშვნა.

Ernennungsurkunde (F.) მონმოზა დანიშვნის შესახებ.

eröffnen 1. გახსნა; 2. დაწყება.

Eröffnung (F.) 1. გახსნა; 2. დაწყება.

Eröffnungsbeschluss (M.) სასამართლოს განჩინება წარმოების გახსნის შესახებ.

Eröffnungsbilanz (F.) საწყისი ბალანსი.

Eröffnungsverfahren (N.) სასამართლოს მიერ წარმოების გახსნის პროცედურა.

erörtern განხილვა.

Erörterung (F.) განხილვა.

erpressen

erpressen 1. გამოძალვა; 2. დაშანტაჟება.

Erpresser (M.) 1. გამომძალველი; 2. შანტაჟისტი.

erpresserisch გამომძალვეთი.

erpresserischer Menschenraub (M.) ადამიანის გატაცება გამოსასყიდის ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით.

Erpressung (F.) 1. გამოძალვა; 2. შანტაჟი.

erregen 1. აღელვება; 2. აღგზნება.

Erregung (F.) öffentlichen Ärger-ses საზოგადოებრივი აღელვების გამოწვევა.

Errungenschaft (F.) მონაპოვარი; მიღწევა.

Errungenschaftsgemeinschaft (F.) მეუღლეთა თანასაკუთრება.

Ersatz (M.) 1. შეცვლა; 2. ანაზღაურება; 3. კომპენსაცია.

Ersatzdienst (M.) ალტერნატიული შრომითი სამსახური.

Ersatzerbe (M.) სათადარიგო მემკვიდრე.

Ersatzfreiheitsstrafe (F.) ჯარიმის თავისუფლების აღკვეთით შეცვლა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (სისხლ.).

Ersatzgeschäft (N.) გარიგების კონვერსიის შედეგად მიღებული გარიგება.

Ersatzkasse (F.) სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ნებაყოფლობით წევრობას.

Ersatzvermächtnis (N.) სათადარიგო საანდერძო დანაკისრი.

Ersatzvornahme (F.) მესამე პირის

მიერ ქმედების შესრულება და ვალდებულებული პირისთვის გაწეული ხარჯის გაღების დაკისრებით.

Ersatzzeit (F.) პერიოდი, როცა პირი თავისუფლდება საპენსიო დაზღვევის ფარგლებში სადაზღვევო შენატანის გაკეთებისგან.

Ersatzzustellung (F.) დოკუმენტების ჩაბარება, რომელიც არ განხორციელდა უშუალოდ ადრესატისთვის მისი გადაცემის გზით.

Ersatzzwangshaft (F.) ჯარიმის ადმინისტრაციული პატიმრობით შეცვლა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (ადმ.).

Erscheinen (N.) (Veröffentlichung) გამოქვეყნება.

Erscheinen (N.) 1 გამოცხადება; 2. წარდგომა (სისხლ.).

erscheinen 1 გამოცხადება; 2. წარდგომა (სისხლ.).

Erschleichen (N.) უკანონო გზით სარგებლის მიღება.

erschleichen უკანონო გზით სარგებლის მიღება.

erschließen 1. ათვისება; 2. გახსნა.

Erschließung (F.) 1. ათვისება; 2. გახსნა.

erschöpfen ამოწურვა.

ersetzen 1. შეცვლა; 2. ანაზღაურება.

Ersetzung (F.) შეცვლა.

Ersetzungsbefugnis (F.) შეცვლის უფლება.

ersitzen საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით.

Ersitzung (F.) საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით.

erstaten 1. ანაზღაურება; 2. შედგენა.

Erstattung (F.) 1. ანაზღაურება; 2. შედგენა; ~ eines Gutachtens დასკვნის შედგენა.

Erstattungsanspruch (M.) ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

Ersuchen (N.) 1. თხოვნა; 2. შეთავაზება; 3. მიმართვა; შუამდგომლობა.

ersuchen 1. თხოვნა; 2. შეთავაზება; 3. მიმართვა; შუამდგომლობა.

Ertrag (M.) შემოსავალი.

Ertragshoheit (F.) საგადასახადო შემოსავლების განაწილების უფლება.

Ertragsteuer (F.) მოგების გადასახადი.

erwachsen (Adj.) ზრდასრული.

Erwachsener (M.) ზრდასრული.

erwägen 1. მოსაზრება; 2. განხილვა.

Erwägung (F.) 1. მოსაზრება; 2. განხილვა.

erweitern 1. გაფართოება; 2. გავრცელება; 3. გაზრდა.

Erwerb (M.) 1. შექენა; 2. შემოსავალი.

erwerben 1. შექენა; 2. მიღება.

Erwerber (M.) შემქენი.

erwerbslos შემოსავლის არმქონე.

erwerbstätig შემოსავლის მქონე.

Erwerbstätigkeit (F.) შრომითი საქმიანობა.

erwerbsunfähig შრომისუუნარო.

Erwerbsunfähigkeit (F.) შრომისუუნარობა.

Erwerbsverbot (N.) შექენის აკრძალვა.

erwidern 1. პასუხის გაცემა; 2. შეწინააღმდეგება.

Erwiderung (F.) 1. პასუხი; 2. შესაგებელი.

Erzbischof (M.) არქიეპისკოპოსი.

erzeugen 1. გამოშვება; 2. შექმნა; 3. წარმოება.

Erzeugnis (N.) 1. ნაწარმი; 2. პროდუქტი.

erziehen აღზრდა.

Erziehung (F.) აღზრდა.

Erziehungsbeistand (M.) პირი, რომელიც დახმარებას უწევს მზრუნველობის უფლების მქონეს ბავშვის აღზრდაში.

Erziehungsgeld (N.) ფულადი სახელმწიფო დახმარება ბავშვის აღზრდისთვის (2007 წლამდე).

Erziehungshilfe (F.) სახელმწიფო დახმარება ბავშვის აღზრდაში.

Erziehungsmaßregel (F.) აღმზრდელითი ღონისძიება.

Erziehungsurlaub (M.) შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

erzwingbar იძულებით მიღწევადი.

erzwingen შედეგის იძულებით მიღწევა.

Erzwingung (F.) შედეგის იძულებით მიღწევა.

Erzwingungshaft (F.) პატიმრობა იძულებით რაიმე შედეგის მიღწევის მიზნით.

Estoppel (N.) შედავების უფლების ჩამორთმევა.

Etat (M.) ბიუჯეტი.

Ethik

Ethik (F.) ეთიკა.

ethisch ეთიკური.

ethnisch ეთნიკური.

EU (F.) (Europäische Union) ევროკავშირი.

Eugenik (F.) ევგენიკა.

eugenisch ევგენიკური.

Eurocheque (M.) ევროჩეკი.

Eurokorps (N.) გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთისა და ლუქსემბურგის საერთაშორისო სამხედრო შენაერთი.

Europa (N.) ევროპა.

europäisch ევროპული.

Europäische Akte (F.) ევროპული აქტი.

Europäische Atomgemeinschaft (F.) ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება.

Europäische Gemeinschaft (F.) (EG) ევროგაერთიანება (ევროკავშირის წინამორბედი).

Europäische Gemeinschaft (F.) für Kohle und Stahl ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება.

Europäische Gemeinschaften (F.Pl.) ევროგაერთიანებები (ევროკავშირის წინამორბედი).

Europäische Investitionsbank (F.) ევროპული საინვესტიციო ბანკი.

Europäische Konvention (F.) (EMRK) zum Schutz der Menschenrechte und Grundfreiheiten ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

Europäische Sozialcharta (F.) (ESC) ევროპული სოციალური ქარტია.

Europäische Universität (F.) ევროპული უნივერსიტეტი.

Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung (F.) ევროკავშირის ეკონომიკურ ინტერესთა გაერთიანება.

Europäische Wirtschafts- und Währungsunion (F.) (EW(W)U) ევროპული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

Europäische Wirtschaftsgemeinschaft (F.) (EWG) ევროპული ეკონომიკური გაერთიანება.

Europäische Zentralbank (F.) (EZB) ევროპული ცენტრალური ბანკი.

Europäischer Gerichtshof (M.) (EGMR) für Menschenrechte ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლო.

Europäischer Gerichtshof (M.) (EuGH) ევროკავშირის სასამართლო.

Europäischer Verband (M.) der Notare (CNUe) (F.) ევროკავშირის ნოტარიუსთა კავშირი.

Europäischer Wirtschaftsraum (M.) (EWR) ევროპული ეკონომიკური სივრცე.

Europäisches Gemeinschaftsrecht (N.) ევროგაერთიანების სამართალი.

Europäisches Parlament (N.) (EP) ევროკავშირის პარლამენტი.

Europäisches Recht (N.) ევროპული სამართალი.

Europäisches Unionsrecht (N.) ევროკავშირის სამართალი.

Europäisches Währungssystem (N.) (EWIV) ევროპული სავალუტო სისტემა.

Europarat (M.) ევროსაბჭო.

Europarecht (N.) ევროპული სამართალი.

European Currency Unit (N.) (ECU) ევროპული სავალუტო ერთეული.

Europol (F.) ევროპოლი.

Euthanasie (F.) ევთანაზია.

evakuieren ევაკუირება.

Evakuierung (F.) ევაკუაცია.

Evaluation (F.) შეფასება, ევალუაცია.

evaluieren შეფასება.

evangelisch ევანგელისტური, პროტესტანტული.

eventual სავარაუდო, შესაძლებელი გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში.

Eventualaufrechnung (F.) ურთიერთმოთხოვნათა შესაძლო გაქვითვა.

Eventualmaxime (F.) ალტერნატიულობის პრინციპი.

Eventualvorsatz (M.) არაპირდაპირი განზრახვა.

evident ცხადი.

Evidenz (F.) 1. სიცხადე; 2. მოსამართლის მიერ დათვალეირების შედეგად მიღებული მტკიცებულება.

Eviktion (F.) ევიკცია, მყიდველისთვის ნაყიდი ნივთის სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმევა იმ გარემოებების საფუძველზე, რომელიც არსებობდა ნივთის ყიდვამდე.

Evokation (F.) ზემდგომი ინსტანციის მიერ ქვემდგომი ინსტანციისგან საქმის გამოთხოვა.

Evokationsrecht (N.) ზემდგომი ინსტანციის მიერ ქვემდგომი ინსტანციისგან საქმის გამოთხოვის უფლება.

ex lege (lat.) კანონის ძალით.

ex nunc (lat.) 1. არაუკუქცევითი ძალა; 2. ამ მომენტიდან.

ex officio (lat.) თანამდებობიდან გამომდინარე.

ex tunc (lat.) 1. უკუქცევითი ძალა; 2. საწყისი მომენტიდან.

Examen (N.) დამამთავრებელი გამოცდა.

exceptio (F.) (lat.) შესაგებელი.

exceptio (F.) doli (lat.) შესაგებელი ბოროტი განზრახვის შესახებ.

exekutieren 1. აღსრულება; 2. შესრულება; 3. ქონებაზე ყადაღის დადება.

Exekution (F.) 1. აღსრულება; 2. შესრულება; 3. ქონებაზე ყადაღის დადება.

exekutiv აღმასრულებელი.

Exekutive (F.) აღმასრულებელი ხელისუფლება.

Exequatur (N.) ეგზეკვატურა.

Exhibitionist (M.) ექსპიბიციონისტი.

exhibitionistisch ექსპიბიციონისტური.

exhibitionistische Handlung (F.) ექსპიბიციონისტური ქმედება.

exhumieren ექსჰუმაციის ჩატარება.

Exhumierung (F.) ექსჰუმაცია.

Exil (N.) 1. დევნილობა; 2. გადასახლება; 3. ემიგრაცია.

Existenz

Existenz (F.) არსებობა.

Existenzminimum (N.) საარსებო მინიმუმი.

existieren არსებობა.

Exklave (F.) ექსკლავი.

exklusiv ექსკლუზიური.

Exkommunikation (F.) რელიგიური გაერთიანებიდან გარიცხვა.

exkommunizieren რელიგიური გაერთიანებიდან გარიცხვა.

Exkulpation (F.) გამართლება.

exkulpieren გამართლება.

Exmatrikulation (F.) ექსმატრიკულაცია, სტუდენტთა რეგისტრაციის გაუქმება.

exmatrikulieren ექსმატრიკულაცია, სტუდენტთა რეგისტრაციის გაუქმება.

Experte (M.) ექსპერტი.

explodieren აფეთქება.

Explosion (F.) აფეთქება.

Export (M.) ექსპორტი.

exportieren ექსპორტის განხორციელება.

expressis verbis (lat.) მკაფიოდ.

extensiv 1. ფართო; 2. გამაფართოებელი.

exterritorial ექსტერიტორიული.

Exterritorialität (F.) ექსტერიტორიულობა.

extrem უკიდურესი.

Extremismus (M.) ექსტრემიზმი.

Extremist (M.) ექსტრემისტი.

Exzess (M.) ექსცესი.

exzessiv გადაჭარბებული.

F

Fabrik (F.) ფაბრიკა.

Fabrikationsfehler (M.) ქარხნული ნაკლი.

Fach (N.) 1. დარგი; 2. საგანი.

Fachanwalt (M.) გარკვეულ სფეროში სპეციალიზირებული ადვოკატი.

Facharbeiter (M.) კვალიფიცირებული მუშაკი.

Fachaufsicht (F.) ზემდგომი ადმინ. ორგანოს მიერ ქვემდგომის ქმედების ან გადაწყვეტილების შინაარსობრივი კონტროლი.

Fachaufsichtsbeschwerde (F.) განცხადება ადმინ. ორგანოს თანამშრომლის ქმედების ან გადაწყვეტილების შინაარსობრივად გადამონმების მოთხოვნით.

Fachbereich (M.) 1. დარგი; 2. სპეციალობა.

Fachhochschule (F.) უმაღლესი სპეციალური სასწავლო დაწესებულება.

Fachmann (M.) სპეციალისტი.

Fachschaft (F.) სტუდენტური წარმომადგენლობა.

Factoring (N.) ფაქტორინგი.

facultas (F.) ალტერნატივა (lat.) შეცვლის უფლებამოსილება.

fähig უნარიანი.

Fähigkeit (F.) უნარი.

fahnden ძებნა.

Fahndung (F.) ძებნა.

Fahndungsschreiben (N.) ბრძანება პირის ძებნაში გამოცხადების შესახებ.

Fahne (F.) 1. დროშა; 2. ალამი.

Fahnenflucht (F.) დეზერტირობა.

fahnenflüchtig დეზერტირებული.

Fähnrich (M.) 1. მედროშე; 2. მეალმე.

Fahren (N.) unter Alkoholeinfluß სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

Fahrer (M.) მძღოლი.

Fahrerflucht (F.) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება.

Fahrerlaubnis (F.) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

Fahrhabe (F.) მოძრავი ქონება.

Fahrkarte (F.) სამგზავრო ბილეთი.

fahrlässig გაუფრთხილებლობით.

Fahrlässigkeit (F.) გაუფრთხილებლობა.

Fahrlässigkeitsdelikt (N.) გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.

Fahrnis (F.) 1. მოძრავი ნივთი; 2. მოძრავი ქონება.

Fahrnisgemeinschaft (F.) მეუღლეთა ქორწინებაში შექმნილი ქონებისა და ქორწინებამდე მათ საკუთრებაში მყოფი მოძრავი ქონების ერთიანობა.

Fahrschein (M.) სამგზავრო ბილეთი.

Fahrt (F.) მგზავრობა.

Fahrtenbuch (N.) 1. სამოგზაურო ჟურნალი; 2. სამარშრუტო ჟურნალი.

fahruntüchtig სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარის არმქონე.

Fahruntüchtigkeit (F.) სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარის არქონა.

Fahrverbot (N.) სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა.

Fahrzeug (N.) სატრანსპორტო საშუალება.

Fahrzeughalter (M.) სატრანსპორტო საშუალების მფლობელი.

fair სამართლიანი.

Fairness (F.) 1. სამართლიანობა; 2. კორექტულობა.

Faksimile (N.) ფაქსიმილე.

faktisch ფაქტიური.

faktische Gesellschaft (F.) ფაქტიური საზოგადოება.

faktischer Vertrag (M.) ფაქტიური ხელშეკრულება.

Faktor (M.) 1. ფაქტორი; გარემოება.

Faktum (N.) ფაქტი.

Faktura (F.) 1. ფაქტურა; 2. ანგარიშ-ფაქტურა.

fakultativ

fakultativ 1. ფაკულტატიური; 2. არასავალდებულო.

Fall (M.) 1. კაზუსი; 2. საქმე; 3. შემთხვევა.

fällig ვადამოსული.

Fälligkeit (F.) ვალდებულების შესრულების ვადამოსულობა.

Fälligkeitsklausel (F.) დამატებითი შენიშვნა ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების ვადის დადგომაზე.

Fallrecht (N.) პრეცედენტული სამართალი, სამართლის სისტემა, ე.წ. Case law.

Fallsammlung (F.) კაზუსთა კრებული.

falsch 1. არასწორი; 2. ყალბი; მაგ. დოკუმენტი; 3. ხელოვნური; მაგ. თმა; 4. ცრუ; მაგ. ჩვენება, მოწმე.

Falschaussage ცრუმონმეობა, ცრუ ჩვენება.

Falschbeurkundung (F.) ცრუ დამონმება დოკუმენტის, მაგ. ნოტარიუსის ცნობის.

Falschdarstellung (F.) არასწორი გადმოცემა, მაგ. ფაქტების, გარემოებების.

Falscheid (M.) ცრუ ჩვენება.

fälschen 1. გაყალბება (მაგ. ხელმოწერის, დოკუმენტის); 2. ფალსიფიცირება (მაგ. პროდუქტის, ღვინის); 3. დამახინჯება (ფაქტების).

Fälscher (M.) 1. გამყალბებელი; 2. ფალსიფიკატორი.

Falschgeld (N.) ყალბი ფული.

Falschheit (F.) 1. სიყალბე; 2. სიცრუე; 3. ორპირობა.

Falschlieferung (F.) არასწორი მიწოდება.

Falschmünzer (M.) ფულის მონეტების გამყალბებელი.

Fälschung (F.) 1. ფალსიფიკაცია; 2. სიყალბე; 3. ნაყალბევი.

falsus procurator (M.) (lat.) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე წარმომადგენელი (მაგ. ხელშეკრულების დადებისას).

Familienbuch (N.) ოჯახური დოკუმენტების წიგნი, ქრონიკა, რომელიც ქორწინებისას გადაეცემათ მეუღლეებს.

Familienfideikommiss (M.) ოჯახის ფიდეიკომისი (სათავადაზნაურო მამული, რომელიც მთლიანად მემკვიდრეობით გადადის ოჯახის ერთ წევრზე).

Familiengericht (N.) საოჯახო სასამართლო; სპეციალური სასამართლო (არ შედის საერთო სასამართლოების სისტემაში), რომელიც განიხილავს საოჯახო დავებს.

Familiengesellschaft (F.) საოჯახო საზოგადოება (მაგ. შპს, რომელიც მეტწილად ოჯახის წევრებისგან შედგება).

Familienrecht (N.) საოჯახო სამართალი.

Familien Sache (F.) ოჯახის საქმე სასამართლოში (მაგ. განქორწინება).

Familienunternehmen (N.) წარმოება, რომელიც მეტწილად ერთი ოჯახის გავლენის ქვეშ არის.

Fang (M.) 1. ნადავლი; 2. ნაქურდალი, (სისხლ.).

Fangprämie (F.) ჯილდო, დანებული დამნაშავეს დაკავებისთვის.

fassen 1. დაჭერა (მაგ. ქურდის); 2. დატევა; 3. ჩასმა.

Fassung (F.) რედაქცია, ფორმულირება (მაგ.კანონის).

Faust (F.) მუშტი.

Faupfand (N.) 1. მოძრავი ქონების დაგირავება.

Faustrecht (N.) უფლების „მუშტი“ დაცვა.

Fehde (F.) 1. დავა; 2. მტრობა.

Fehlen (N.) der Geschäftsgrundlage საქმიანი შეთანხმების, გარიგების საფუძვლის არ არსებობა.

fehlen არ არსებობა.

Fehler (M.) 1. შეცდომა; 2. დეფექტი.

fehlerhaft 1. მცდარი; 2. უხარისხო; 3. წუნინი.

Fehlerhaftigkeit 1. სიმცდარე; 2. უზუსტობა.

Fehlgeburt (F.) 1. მუცლის მოშლა; 2. აბორტი.

Fehlprozess (M.) არასწორი, მცდარი (სასამართლო) პროცესი.

Fehlurteil (N.) მცდარი, არასწორი განაჩენი.

feil (Adj.) გასაყიდი.

feilbieten გასაყიდად გამოდება, შემოთავაზება.

feilschen შევაჭრება.

Feind (M.) 1. მტერი; 2. მეტოქე.

feindlich მტრული.

fern 1. შორეული; 2. შორი.

Fernabsatz (M.) მომხმარებელს და მენარმეს შორის ნასყიდობა და მომსახურეობა, რომელიც ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით იდება.

Fernabsatzvertrag (M.) მომხმარებელს და მენარმეს შორის დადებული ნასყიდობის და მომსახურეობის ხელშეკრულება, რომელიც ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით (დისტანციურად) იდება. იხ. ასევე Fernabsatz.

Fernkommunikation (F.) კომუნიკაცია შორ მანძილზე (დისტანციური).

Fernkommunikationsmittel (N.) კომუნიკაციის საშუალება შორ მანძილზე, მაგალითად, რომლითაც მომხმარებელი და მენარმე ხელშეკრულებას ფიზიკურად დაუსწრებლად დებენ (წერილი, კატალოგი, მელი და სხვა).

Fernmeldegeheimnis (N.) სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა (კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლება).

Fernmelderecht (N.) სატელეკომუნიკაციო სამართლის ნორმები.

Fernmeldewesen (N.) ტელეკომუნიკაცია.

Fernsehrecht (N.) ტელე-მედის სამართლის ნორმები

Fernunterricht (M.) დაუსწრებელი სწავლება შორ მანძილზე.

fertig მზა.

fertigstellen 1. დამზადება; 2. მომზადება; 3. გამზადება.

Fertigstellung (F.) 1. შედგენა; 2. მომზადება; 3. გამზადება.

Fessel (F.) ბორკილი.

fest 1. მყარი; 2. მაგარი; 3. გამძლე.

Festgeld (N.) 1. ვადიანი ანაბარი; 2. ვალი.

Festhalten

Festhalten (N.) დაჭერა, დაკავება

festhalten დაჭერა, დაკავება.

Festnahme (F.) 1. დაკავება; 2. დაპატიმრება.

festnehmen 1. დაკავება; 2. დაპატიმრება.

Festpreis (M.) 1. საბოლოო ფასი; 2. ფიქსირებული ფასი.

festsetzen 1. ციხეში ჩასმა; 2. დანიშვნა (მაგ. ვადის) 3. დაბინადრება.

Festsetzung (F.) 1. დადგენა, განსაზღვრა, დანესება; 2. დაპატიმრება.

feststellen დადგენა.

Feststellung (F.) დადგენა.

Feststellungsinteresse (N.) აღიარების (კანონიერი) ინტერესი (მაგ. ფაქტების, გარემოებების).

Feststellungsklage (F.) აღიარებითი სარჩელი.

Feststellungsurteil (N.) აღიარებით სარჩელზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

Feuerversicherung (F.) ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა.

Fideikommiss (M.) ფიდეიკომისი (სათავადაზნაურო მამული, საკუთრება).

Fideikommissbesitz (M.) ფიდეიკომისის ფლობა.

fiduziarisch ნდობით აღჭურვილი.

Fiktion (F.) ფიქცია.

fiktiv ფიქტიური.

Filiale (F.) ფილიალი.

Filmrecht (N.) 1. კინოგადაღების უფლება; 2. კინო-სამართალი.

final საბოლოო, ფინალური.

Finanzamt (N.) 1. ფინანსების სამმართველო; 2. ფინანსთა სამინისტრო; 3. საფინანსო სამსახური.

Finanzausgleich (M.) ფინანსური ბალანსი.

Finanzen (F.Pl.) 1. ფინანსები; 2. ფულადი რესურსები.

Finanzgericht (N.) ფინანსური სასამართლო.

Finanzgerichtsbarkeit (F.) ფინანსური სასამართლოების იურისდიქცია, საფინანსო მართლმსაჯულება.

finanziell 1. ფინანსური; 2. ფინანსურად.

finanzieren დაფინანსება.

Finanzierung (F.) 1. დაფინანსება; 2. ინვესტირება.

Finanzminister (M.) ფინანსთა მინისტრი.

Finanzmonopol (N.) ფინანსური მონოპოლია.

Finanzplanung (F.) ფინანსური დაგეგმარება, საფინანსო გეგმა.

Finanzrecht (N.) საფინანსო სამართალი.

Finanzverfassung (F.) საფინანსო კანონი.

Finanzvermögen (N.) საფინანსო ქონება.

Finanzverwaltung (F.) საფინანსო მმართველობა.

Findelkind (N.) ნაპოვნი ბავშვი.

finden პოვნა

Finder (M.) მპოვნელი.

Finderlohn (M.) მპოვნელის ჯილდო.

Fingerabdruck (M.) თითის ანაბეჭდი.

fingieren სიმულირება.

Firma (F.) 1. ფირმა; 2. საწარმოს დასახელება.

fischen თევზაობა.

Fischerei (F.) 1. მეთევზეობა; 2. თევზჭერა.

Fischereirecht (N.) 1. სამეთევზეო სამართლის ნორმები; 2. თევზჭერის უფლება.

Fischwilderei (F.) თევზჭერა მეკობრული გზით.

fiskalisch 1. სახაზინო; 2. ფისკალური.

Fiskus (F.) სახელმწიფო ხაზინა.

fix 1. მყარი; 2. მარდი.

Fixgeschäft (N.) გარიგება, რომელიც უნდა შესრულდეს დათქმულ დროს; **absolutes** ~ გარიგება, რომლის შეუსრულებლობაც დათქმულ დროს ათავისუფლებს მხარეს შესრულების მიღების ვალდებულებისგან (მაგ. საქონლი კაბის მიწოდების ვადის გადაცილება); **relatives** ~ გარიგება, რომლის შეუსრულებლობაც დათქმულ დროს იწვევს მხოლოდ ვადის გადაცილებასთან დაკავშირებულ შედეგებს.

Fläche (F.) ფართი, ტერიტორია.

Flächennutzung (F.) ფართის, ტერიტორიის გამოყენება.

Flächennutzungsplan (M.) (მინის) ფართის გამოყენების გეგმა ე.წ. გენ-გეგმა.

flexibel 1. მოქნილი; 2. ელასტიური.

fliehen გაქცევა, მიმალვა.

Flucht (F.) 1. მიმალვა, გაქცევა (მაგ. ციხიდან); 2. ფულის, კაპიტალის უკუდენა (ფულის გაუფასურება).

Fluchtgefahr (F.) გაქცევის საშიშროება.

flüchtig sein მალვაში ყოფნა.

Flüchtling (M.) ლტოლვილი.

Fluchtlinie (F.) შენობის ფასადის ხაზი.

Flugblatt (N.) პროკლამაცია.

Flugschrift (F.) ბროშურა.

Flurbereinigung (F.) მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

Flurstück (N.) მიწის ნაკვეთი.

fob (free on board) თავისუფლად ბორტზე (პირობა გამყიდველის ვალდებულებაზე, მიიტანოს და დატვირთოს საქონელი გემზე.

föderal ფედერალური.

Föderalismus (M.) ფედერალიზმი.

föderalistisch 1. ფედერალისტური; 2. ფედერალური.

Föderation (F.) ფედერაცია.

Folge (F.) 1. შედეგი, რეზულტატი; 2. თანმიმდევრობა; 4. ჯერი, სერია, რიგი; ~ **leisten** დამორჩილება.

folgen 1. მიყოლა auf dem Fuße ~ ფეხდაფეხ მიყოლა; 2. გამომდინარეობა daraus folgt – აქედან გამომდინარეობს.

Folgenbeseitigung (F.) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა(აღმინ.).

Folgenbeseitigungsanspruch (M.) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება (აღმინ.).

Folgerecht (N.) შემოქმედთა უფლება, მიიღონ მონაწილეობა მათი შემოქმედების გაყიდვაში.

Folgeschaden (M.) შედეგობრივი ზიანი.

Folter (F.) წამება.

foltern წამება.

Fonds (M.) 1. ფონდი; 2. სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები; 3. სახსრები.

fordern 1. მოთხოვნა; 2. გამოძახება vor Gericht ~ სასამართლოში გამოძახება.

fördern 1. ხელის შეწყობა; 2. მხარდაჭერა.

Forderung (F.) (Anspruch) 1. მოთხოვნა; 2. პრეტენზია; 3. ვალი.

Förderung (F.) 1. დახმარება, მხარდაჭერა; 2. ხელის შეწყობა.

Forderungsabtretung (F.) 1. მოთხოვნის დათმობა; 2. ცესია.

Forderungspfändung (F.) მოთხოვნის დაყადაღება.

Forderungsrecht (N.) მოთხოვნის უფლება.

Forderungsübergang (M.) მოთხოვნის გადასვლა (მესამე პირზე).

Forderungsverkauf (M.) მოთხოვნის გაყიდვა.

Forderungsverletzung (F.) ვალდებულების დარღვევა.

forensisch სასამართლო (მაგ. ფსიქიატრია).

Form (F.) ფორმა.

formal ფორმალური.

Formalbeleidigung (F.) ფორმალური შეურაცხყოფა.

Formalie (F.) ფორმალობა.

Formalismus (M.) ფორმალიზმი.

Formalität (F.) ფორმალობა.

Formel (F.) 1. ფორმულა; 2. ბრძანება.

formell ფორმალური.

formell legitimierter Wertpapierinhaber (M.) ფორმალურად ლეგიტიმური ფასიანი ქაღალდის მფლობელი.

formelle Rechtskraft (F.) ფორმალური კანონიერი ძალა.

formelle Verfassung (F.) ფორმალური კანონი, კონსტიტუცია.

formelles Recht (N.) ფორმალური უფლება.

Formfreiheit (F.) ფორმის თავისუფლება.

Formkaufmann (M.) ფორმალური, რეგისტრირებული მენარმე.

formlos 1. ფორმის გარეშე; 2. არაფორმალური.

formloses Versprechen (N.) არაფორმალური (ფორმის გარეშე) დაპირება.

Formular (N.) 1. ფორმულარი; 2. ბლანკი.

formulieren 1. ფორმულირება; 2. ჩამოყალიბება.

Formulierung (F.) 1. ფორმულირება; 2. ჩამოყალიბება.

Förster (M.) მეტყევე.

fortbilden კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება.

Fortbildung (F.) კვალიფიკაციის ამაღლება.

fortführen გაგრძელება.

Fortführung (F.) გაგრძელება.

fortgesetzt გაგრძელებული.

fortgesetzte Handlung (F.) 1. გაგრძელებული მოქმედება; 2. განგრძობადი ქმედება (სისხლ.).

fortsetzen გაგრძელება.

Fortsetzung (F.) გაგრძელება.

Fortsetzungszusammenhang (M.) ცალკეული ქმედებების კავშირი, განგრძობადი დანაშაულის ჩადენისას.

forum (N.) (lat.) 1. ფორუმი, საზოგადოებრივი დისკუსია; 2. სასამართლო; 3. განსჯადობა.

Fotorecht (N.) ფოტოგადაღების უფლება.

Fötus (M.) 1. ემბრიონი; 2. ჩანასახი.

Fracht (F.) 1. გადასახიდი ტვირთი; 2. გადასახიდ ტვირთზე გადასახადი; 3. გემის, ხომალდის საიჯარო გადასახადი.

Frachtbrief (M.) 1. ზედნადები; 2. კონოსამენტი.

Frachtführer (M.) ტვირთის გამომზიდველი.

Frachtgut (N.) გადასახიდი ტვირთი.

Frachtvertrag (M.) 1. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება, ტრანსპორტირების ხელშეკრულება; 2. ჩარტერი, საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება.

Fragebogen (M.) 1. ანკეტა; 2. კითხვარი.

fragen შეკითხვის დასმა.

Fragestunde (F.) კითხვა-პასუხის საათი (პარლამენტში).

Fraktion (F.) ფრაქცია.

Fraktionszwang (M.) ფრაქციის შე-

ქმნის იძულება.

Franchisegeber (M.) ფრანშიზის მიმცემი.

Franchisenehmer (M.) ფრანშიზის ამღები.

Franchisevertrag (M.) ფრანშიზის ხელშეკრულება.

Franchising (N.) ფრანშიზი.

frankieren ფრანკირება, საფოსტო მარკის დაკერა.

franko 1. ფრანკო; 2. თავისუფლად; 3. საზღაურის გარეშე; 4. ხარჯის გარეშე.

Frauenhandel (M.) ქალებით ვაჭრობა.

Frauenhaus (N.) ქალთა თავშესაფარი.

Frauenraub (M.) ქალის გატაცება.

frei 1. თავისუფალი; 2. დაუბრკოლებელი; 3. უფასო.

frei Haus სახლში მიტანის ღირებულებით.

freiberuflich თავისუფალი პროფესიის.

Freibetrag (M.) დაუბეგრავი მინიმუმი (შემოსავლის).

Freibeuter (M.) 1. მარადიორი; 2. მეკობრე.

Freibeweis (M.) თავისუფალი მტკიცებულება; მტკიცებულებათა შეუზღუდაობა.

freibleibend ვალდებულების გარეშე.

Freibrief (M.) დაცვის სიგელი.

freier Beruf (M.) თავისუფალი პროფესია.

Freiexemplar (N.) საავტორო (უფასო) ეგზემპლარი.

Freigabe

Freigabe (F.) 1. ბლოკირების მოხსნა, შეზღუდვის მოხსნა; 2. თანხმობა (საბოლოო).

Freigang (M.) თავისუფალი მოძრაობა, გასეირნება (ციხეში).

Freihafen (M.) 1. თავისუფალი პორტი; 2. ბაჟისაგან თავისუფალი პორტი.

Freihandel (M.) თავისუფალი ვაჭრობა, ვაჭრობა ბაჟის გარეშე.

freihändig უშუალო, პირდაპირი.

freihändiger Verkauf (M.) უშუალო, პირდაპირი ვაჭრობა.

Freiheit (F.) 1. თავისუფლება; 2. შეღავათი; 3. პრივილეგია.

freiheitlich თავისუფალი.

freiheitliche demokratische Grundordnung (F.) საზოგადოების თავისუფალი დემოკრატიული წყობილება.

Freiheitsberaubung (F.) თავისუფლების წართმევა (უკანონოდ).

Freiheitsentziehung (F.) თავისუფლების აღკვეთა.

Freiheitsstrafe (F.) სასჯელი (თავისუფლების აღკვეთით).

Freiherr (M.) ბარონი.

Freikirche (F.) 1. თავისუფალი ეკლესია (რომელიც არ არის დამოკიდებული სახელმწიფოზე ან სახელმწიფო რელიგიაზე; 2. რელიგიური სექტა.

freilassen გათავისუფლება (მაგ. პატიმრობიდან, ტყვეობიდან).

Freilassung (F.) გათავისუფლება (მაგ. პატიმრობიდან, ტყვეობიდან).

Freimaurer (M.) მასონი.

freisprechen 1. გამართლება სასა-

მართლოს მიერ, j-n von einer Schuld ~ უდანაშაულოდ ცნობა.

Freisprechung (F.) გამართლება სასამართლოს მიერ.

Freispruch (M.) გამამართლებელი განაჩენი.

Freistaat (M.) 1. თავისუფალი სახელმწიფო; 2. თავისუფალი ფედერალური ერთეული, მხარე გერმანიაში (მაგ. ბავარია, საქსონია).

freistellen (befreien) გათავისუფლება.

Freistellung (F.) გათავისუფლება სტაჟის შენარჩუნებით.

Freistellungsanspruch (M.) სტაჟის შენარჩუნებით გათავისუფლების მოთხოვნა.

freiwillig ნებაყოფლობით.

freiwillige Gerichtsbarkeit (F.) ნებაყოფლობითი მართლმსაჯულება.

freiwillige Versicherung (F.) ნებაყოფლობითი დაზღვევა.

Freizeichen (N.) 1. გასვლა (თავისუფალი სასაუბრო ხაზი ტელეფონზე); 2. ფირმის ნიშანი.

freizeichnen პასუხისმგებლობისგან ან ვალდებულებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება.

Freizeichnung (F.) პასუხისმგებლობისგან ან ვალდებულებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება.

Freizeichnungsklausel (F.) დამატებითი შენიშვნა (ხელშეკრულებაში) პასუხისმგებლობიდან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებაზე.

Freizeit (F.) თავისუფალი დრო.

Freizeitarrest (M.) არასრულწლოვნისთვის თავისუფალი დროის აღკვეთა, ვრცელდება, როგორც წესი, შაბათ-კვირაზე.

freizügig დაუბრკოლებლად, თავისუფლად.

Freizügigkeit (F.) მიმოსვლის უფლება.

fremd უცხო.

Fremdbesitz (M.) სხვისი ნივთის ფლობა.

Fremdbesitzer (M.) სხვისი ნივთის მფლობელი.

Fremdbesitzerexzess (M.) უფლება-მოსილების გადამეტება პირის მიერ, რომელიც ფლობს სხვის ნივთს.

Fremdenrecht (N.) საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებს უცხოელის მდგომარეობას.

Fremder (M.) უცხო.

Fremdkapital (N.) მოზიდული კაპიტალი.

Freude (F.) სიხარული.

Freund (M.) 1. მეგობარი; 2. მოყვასი; 3. მომხრე.

Freundschaft (F.) მეგობრობა mit j-m ~ schliessen ვინმესთან დამეგობრება.

Freundschaftsvertrag (M.) 1. მეგობრობის ხელშეკრულება; 2. შეთანხმება უფროსობაზე (ორგანიზაციებს შორის).

Frevel (M.) 1. დანაშაული, ბოროტმოქმედება; 2. მკრეხელობა, მწვალეობა; 3. შებღალვა; 4. შეურაცხყოფა.

freveln 1. დანაშაულის ჩადენა gegen die Gesetze ~ კანონის დარღვევა; 2. მკრეხელობა, მწვალეობა.

Frevler (M.) 1. დამნაშავე; 2. ბოროტმოქმედი.

Friede/Frieden (M.) 1. მშვიდობა; 2. სიწყნარე; 3. სიმშვიდე.

Friedensbruch (M.) 1. მშვიდობის, სიმშვიდის დარღვევა; 2. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

Friedenspflicht (F.) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მხარეების ვალდებულება, გადანყვიტონ დავები მშვიდობიანი გზით (გაფიცვის გარეშე).

Friedensrichter (M.) არბიტრი.

Friedensvertrag (M.) სამშვიდობო ხელშეკრულება (შეთანხმება მშვიდობის შესახებ).

Frist (F.) ვადა.

fristlos უვადო.

Fristsetzung (F.) 1. ვადის მიცემა; 2. ვადის დანიშვნა.

Fristverlängerung (F.) ვადის გაგრძელება.

Frucht (F.) 1. ნაყოფი; 2. ხილი; 3. შედეგი.

frühere ადრეული.

Frühgeburt (F.) ნაადრევი მშობიარობა.

führen 1. მართვა; 2. გაძლოლა.

Führer (M.) 1. ხელმძღვანელი 2. მეთაური; 3. ლიდერი; 4. წინამძღოლი.

Führerschein (M.) მართვის მოწმობა.

Führung

Führung (F.) 1. ხელმძღვანელობა, მმართველობა; 2. ლიდერობა.

Führungsaufsicht (F.) მსჯავრდადებულისთვის მეთვალყურეობის დანესება.

Führungszeugnis (N.) ცნობა-დახასიათება; **polizeiliches** ~ პოლიციიდან ცნობა ნასამართლეობაზე.

Fund (M.) ნაპოვარი.

Fünfprozentklausel (F.) ხუთპროცენტიანი ბარიერი (საარჩევნო კანონიდან).

fungibel ადვილად შესაცვლელი.

fungieren 1. მოქმედება, ფუნქციონირება; 2. მოვალეობის, ვალდებულების შესრულება.

funken რადიოთი გამოცხადება.

Funktion (F.) ფუნქცია.

Funktionär (M.) თანამდებობის პირი.

funktionell ფუნქციონალური, ფუნქციის მქონე.

funktionelles Synallagma (N.) ფუნქციონალური ურთიერთნდობა ხელშეკრულებაში.

Funktionsnachfolge (F.) ფუნქციის მემკვიდრეობით გადასვლა.

Furcht (F.) შიში; ~ **haben** (vor D) შიშის ქონა; **aus** ~ შიშისგან.

Fürsorge (F.) 1. მზრუნველობა, ზედამხედველობა; 2. სოციალური უზრუნველყოფა.

Fürsorgeerziehung (F.) 1. იძულებითი აღზრდა არასრულწლოვან დამნაშავეთა სახლში; 2. ბავშვთა სახლში აღზრდა.

Fürsorgepflicht (F.) მატერიალური მზრუნველობის ვალდებულება.

Fürsorger (M.) 1. მზრუნველი; 2. სოციალური უზრუნველყოფის თანამშრომელი.

Fürsprache (F.) 1. თხოვნა; 2. შუამდგომლობა, მოსარჩლეობა, მფარველობა.

Fürsprecher (M.) შუამდგომელი.

furtum (N.) **usus** (lat.) უკანონო მოხმარება.

Fusion (F.) 1. შერწყმა; 2. გაერთიანება.

fusionieren 1. გაერთიანება; 2. შერწყმა.

Fusionskontrolle (F.) გაერთიანების კონტროლი.

G

Gabe (F.) ნიჭი, ტალანტი.

Gage (F.) 1. ჯამაგირი; 2. ჰონორარი.

Galgen (M.) სახრჩობელა.

Garant (M.) გარანტი.

Garantenpflicht (F.) თავდებობის ვალდებულება, გარანტის (როგორც პიროვნების) ვალდებულება (სისხლ.).

Garantenstellung (F.) გარანტიის პოზიცია.

Garantie (F.) გარანტია; ~ der Gesetzlichkeit კანონიერების გარანტია; konstitutionelle ~ საკონსტიტუციო გარანტია; vertragliche ~ სახელშეკრულებო გარანტია.

Garantiefrist (F.) საგარანტიო ვადა.

Garantiegeschäft (N.) 1. გარანტირებული გარიგება; 2. გარიგება, რომელიც გარანტირებულია ბანკით.

garantieren 1. გარანტიის მიცემა; 2. უზრუნველყოფა.

Stab (M.) შტაბი; vereinigt ~ გაერთიანებული შტაბი; der Generalstab გენერალური შტაბი.

stabil სტაბილური.

Stadt (F.) ქალაქი.

Städtebau (M.) ქალაქთმშენებლობა.

Städtebaurecht (N.) ქალაქთმშენებლობის სამართალი.

städtisch 1. საქალაქო; 2. მუნიციპალური.

Stadtplanung (F.) 1. ქალაქგეგმარება; 2. ურბანული დაგეგმარება.

Stadtrat (M.) 1. საქალაქო საბჭო (საქ. საკრებულო); 2. მუნიციპალიტეტი; 3. საქალაქო საბჭოს წევრი.

Stadtrecht (M.) ქალაქის სტატუსი; das ~ verleihen ქალაქის სტატუსის მინიჭება.

Stadtstaat (M.) ქალაქ-სახელმწიფო.

Stamm (M.) 1. ტომი; 2. მოდგმა; 3. გვარი; 4. საგვარეულო ხაზი.

Stammaktie (F.) ჩვეულებრივი აქცია (საკორპ.).

Stammeinlage (F.) შენატანი სანესდებო კაპიტალში.

stammen 1. წარმომავლობა; 2. წარმოშობა.

Stammkapital (N.) სანესდებო კაპიტალი.

Stand (M.) მდგომარეობა; ~ der Aktien აქციების კურსი; ~ der Ermittlungen გამოძიების მდგომარეობა.

Standard (M.) 1. სტანდარტი; 2. ნორმა; staatlicher ~ სახელმწიფო სტანდარტი.

Standesamt (N.) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახური.

Standesbeamter (M.) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურის თანამშრომელი.

Standesrecht (N.) პროფესიული ეთიკის სამართალი.

Standgericht (N.) საგანგებო (სამხედრო) სასამართლო.

ständig 1. მუდმივად; 2. მუდმივი.

Standort (M.) 1. მდებარეობა; 2. განლაგება; der Produktion წარმოების მდებარეობა.

Standrecht (N.) საომარი (საგანგებო) მდგომარეობის სამართალი (საგანგებო სასამართლოს მიერ გარკვეული დანაშაულებისთვის მოკლე პროცესით განაჩენის გამოტანა, რომელიც არ საჩივრდება).

Station (F.) 1. გაჩერება; 2. სადგური; 3. საავადმყოფოს განყოფილება.

Statistik (F.) სტატისტიკა; amtliche ~ ოფიციალური სტატისტიკა.

Stätte (F.) ადგილი; ~ des Handels ვაჭრობის ადგილი.

statthaft 1. დასაშვები; 2. მისაღები.

Statthaftigkeit (F.) მისაღებობა, დასაშვებობა (გერმ. სწორი პროცესუალური საშუალების არჩევა უფლების დასაცავად. წარმოადგენს სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ ნინაპირობას).

Statthalter (M.) 1. ნაცვალი; 2. რეგენტი.

statuieren დადგენა.

status (M.) quo (lat.) სტატუს-კვო.

Status (M.) სტატუსი; sozialer ~ სოციალური სტატუსი; staatsbürgerlicher ~ მოქალაქის სტატუსი.

Statusprozess (M.) ბავშვსა და მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამდგენი პროცესი (მოძვ.). იხ. Kindschaftssache.

Statut (N.) 1. სტატუტი; 2. წესდება.

Statutenkollision (F.) სამართლებრივ ნორმათა კოლიზია (საერთ. კერძო სამ.).

Stau (M.) საცობი.

Steckbrief (M.) 1. ძებნის ცირკულარი (მოკლე ინფორმაცია სისხ-

ლისსამართლებრივ ძებნაში მყოფი პირის შესახებ, რომელიც ეგზავნებათ დაწესებულებებს და გამოიფინება საჯაროდ); 2. პირთან ან რაიმე თემასთან დაკავშირებით ძირითად მონაცემთა მოკლე აღწერა.

stehlen 1. ქურდობა; 2. მოპარვა.

steigern გაზრდა.

Stelle (F.) 1. ადგილი; 2. თანამდებობა; 3. დაწესებულება; eine ~ öffentlich ausschreiben თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადება; vakante ~ ვაკანტური ადგილი.

Stellenvermittlung (F.) დასაქმებაში შუამავლობა.

Stellung (F.) 1. ადგილი; 2. მდგომარეობა; 3. თანამდებობა; 3. დამოკიდებულება.

stellvertretendes commodum (N.) მოვალის ვალდებულება გადასცეს კრედიტორს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მიერ შესრულების საგნისთვის მიღებული კომპენსაცია ან დაუთმოს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

Stellvertreter (M.) 1. მოადგილე; 2. შემცვლელი; 3. წარმომადგენელი; ein gesetzlicher ~ კანონიერი წარმომადგენელი.

Stellvertretung (F.) 1. მოადგილეობა, შეცვლა; 2. წარმომადგენლობა.

Stempel (M.) შტამპი; einen ~ drucken შტამპის დასმა.

stempeln 1. ბეჭდის დასმა; 2. შტამპის დასმა.

Sterbebuch (N.) გარდაცვალების რეგისტრაციის წიგნი.

Sterbegeld

Sterbegeld (N.) დახმარება, ან სადაზღვევო პრემია გაცემული გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების დასაფარად.

Sterbehilfe (F.) ევთანაზია.

sterben 1. სიკვდილი; 2. გარდაცვალება.

Sterbeurkunde (F.) გარდაცვალების მონმობა.

steril 1. სტერილური; 2. გაუსნებოვნებული; 3. უნაყოფო.

Sterilisation (F.) 1. გაუსნებოვნება; 2. სტერილიზაცია, გამრავლების ფუნქციის ხელოვნური შეწყვეტა.

sterilisieren 1. გაუსნებოვნება; 2. სტერილიზაცია, გამრავლების ფუნქციის ხელოვნური შეწყვეტა.

Sternsozietät (F.) საადვოკატო ბიურო, რომელის პარტნიორები ამავე დროს არიან სხვა საადვოკატო ბიუროს ან ბიუროების პარტნიორები.

Steuer (F.) გადასახადი; eine ~ auferlegen გადასახადით დაბეგვრა; direkte ~ პირდაპირი გადასახადი; indirekte ~ არაპირდაპირი გადასახადი.

Steuerbefreiung (F.) გადასახადისგან გათავისუფლება.

Steuerbehörde (F.) საგადასახადო ორგანო.

Steuerberater (M.) საგადასახადო კონსულტანტი.

Steuerbescheid (M.) საგადასახადო მოთხოვნა.

Steuerbevollmächtigter (M.) საგადასახადო რწმუნებული (გერმანიაში ასრულებდა საგადასახადო კონსულტანტის საქმიანობის ნაწილს. გაუქმდა საგადასახადო

კონსულტაციის შესახებ კანონის რეფორმის შედეგად).

Steuerbilanz (F.) საწარმოს საგადასახადო ბალანსი (საწარმოს დაბეგვრის ოდენობის გამოთვლის მიზნით შედგენილი ბალანსი).

Steuererklärung (F.) საგადასახადო დეკლარაცია.

Steuererlass (M.) იხ. Steuerbefreiung.

Steuerfahndung (F.) საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა.

Steuerflucht (F.) გადამხდელის სხვა ქვეყანაში გადასვლა საგადასახადო რეჟიმის შეცვლის მიზნით.

steuerfrei 1. დაუბეგრავი; 2. დაბეგვრისგან თავისუფალი (ის, რაც არ ექვემდებარება დაბეგვრას).

Steuerfreibetrag (M.) დაუბეგრავი მინიმუმი (თანხა, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას).

Steuergeheimnis (N.) საგადასახადო საიდუმლოება.

Steuerhehlerei (F.) შემოსავლების დაფარვა გადასახადით დაბეგვრისგან (სისხლ.).

Steuerhinterziehung (F.) გადასახადისათვის თავის არიდება (სისხლ.).

Steuerhoheit (F.) საგადასახადო სუვერენიტეტი, მონოპოლია (სახელმწიფოს, მისი ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილება დაანესოს და ამოილოს გადასახადები და მოსაკრებლები).

steuerlich საგადასახადო.

Steuerpflicht (F.) საგადასახადო ვალდებულება; beschränkte ~ ქვე-

ყნის შიგნით მიღებული შემოსავლიდან გადასახადის გადახდის ვალდებულება; **unbeschränkte** ~ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მიღებული შემოსავლიდან გადასახადის გადახდის ვალდებულება.

steuerpflichtig 1. დასაბეგრი; 2. გადასახადის გადამხდელი; ~er Teil des Einkommens შემოსავლის დასაბეგი ოდენობა.

Steuerpflichtiger (M.) გადასახადის გადამხდელი.

Steuerrecht (N.) საგადასახადო სამართალი.

Steuerrichtlinie (F.) საგადასახადო ინსტრუქცია.

Steuersache (F.) საგადასახადო დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმე.

Steuerschuld (F.) საგადასახადო დავალიანება.

Steuerstrafrecht (N.) სისხლისსამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საგადასახადო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის საკითხებს.

Steuertabelle (F.) საგადასახადო ცხრილი.

Steuerungsfähigkeit (F.) საკუთარი ქვეყნის მართვის უნარი.

Steuerveranlagung (F.) გადასახადის თანხების დარიცხვა.

Steuervergünstigung (F.) საგადასახადო შეღავათი.

Stich (M.) ჩხვლეტა.

Stichtag (M.) 1. ვადა; 2. დადგენილი თარიღი; ~ für die Auftrags-erfüllung შეკვეთის შესრულების თარიღი; ~ für die Warenlieferung

საკონლის მოწოდების დღე; ~ für die Zahlung გადახდის თარიღი.

Stichwahl (F.) განმეორებითი კენჭისყრა (ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში).

Stichwunde (F.) ნაჩხვლეტი ჭრილობა.

Stiefbruder (M.) ნახევარძმა.

Stiefeltern (Pl.) დედინაცვალ-მამინაცვალი.

Stiefkind (N.) 1. შვილობილი; 2. გერი.

Stiefmutter (F.) დედინაცვალი.

Stiefschwester (F.) ნახევარდა.

Stiefsohn (M.) გერი (ვაჟი).

Stieftochter (F.) გერი (ქალიშვილი).

Stiefvater (M.) მამინაცვალი.

Stift (N.) მონასტერთან არსებული თავშესაფარი საერო პირთათვის.

stiften 1. დაწესება; 2. დაარსება; einen Preis ~ პრემიის დაწესება; Frieden ~ მშვიდობისმყოფელობა; Unruhe ~ მღელვარების გამოწვევა.

Stifter (M.) 1. დამაარსებელი; 2. დამფუძნებელი; 3. მოთავე.

Stiftung (F.) ფონდი.

still 1. მშვიდი; 2. წყნარი; 3. ჩუმი; 4. ფარული.

stille Gesellschaft (F.) ფარული საზოგადოება (გერ. საკორპ. სამ., საზოგადოების განსაკუთრებული ფორმა, როდესაც ფიზიკური ან იურიდიული პირი მონაწილეობს მასში, ისე, რომ მისი მონაწილეობა შეუმჩნეველია მესამე პირთათვის).

stillschweigend

stillschweigend 1. მდუმარე; 2. უსიტყვო, კონკლუდენტური; ~e Wil-lenserklärung ნების გამოვლენა კონკლუდენტურად.

Stillstand (M.) 1. უძრაობა; 2. უმოქმედება; ~ eines Verfahrens პროცესის შეჩერება.

Stimmabgabe (F.) ხმის მიცემა.

Stimme (F.) (Wählerstimme) (ამომრჩევლის) ხმა; sich der ~ enthalten თავის შეკავება (კენჭისყრის დროს); die ~ abgeben ხმის მიცემა; beratende ~ სათათბირო ხმა.

stimmen ხმის მიცემა.

Stimmenmehrheit (F.) ხმათა უმრავლესობა.

Stimmenthaltung (F.) თავის შეკავება (ხმის მიცემის დროს).

Stimmrecht (N.) ხმის მიცემის უფლება.

Stimmzettel (M.) საარჩევნო ბიულეტენი.

Stipendium (N.) სტიპენდია.

Stock (M.) 1. სანესდებო კაპიტალი; 2. აქცია; ~ der Aktien აქციათა საკონტროლო პაკეტი.

Stockwerk (N.) სართული.

Stoff (M.) 1. მატერია; 2. ნივთიერება; 3. მასალა; 4. ქსოვილი.

stören 1. ხელის შეშლა; 2. დარღვევა.

Störer (M.) 1. ხელის შემშლელი; 2. დამრღვევი.

stornieren 1. ანულირება; 2. გაუქმება.

Storno (N.) 1. ანულირება; 2. გაუქმება.

Störung (F.) 1. ხელის შეშლა; 2. მოშლილობა; 3. დარღვევა; geis-

tige ~ სულიერი აშლილობა; ~ der öffentlichen Sicherheit საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა; ~ des öffentlichen Friedens საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა; vorübergehende ~ დროებითი აშლილობა.

Strafanstalt (F.) სასჯელალსრულების დაწესებულება. იხ. Strafvollzugsanstalt, Justizvollzugsanstalt.

Strafantrag (M.) დაზარალებულის საჩივარი (სისხლ.).

Strafanzeige (F.) სამართალდამცავ ორგანოში შეტანილი განცხადება დანაშაულის მომზადების ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

Strafarrest (M.) თავისუფლების აღკვეთა სამხედრო მოსამსახურისთვის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის.

Strafaufhebungsgrund (M.) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, რომელიც წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. შდრ. Strafausschließungsgrund.

Strafaufschub (M.) განაჩენის აღსრულების გადავადება; bedingter ~ განაჩენის აღსრულების პირობითი გადავადება.

Strafausschließungsgrund (M.) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, რომელიც არსებობდა დანაშაულის ჩადენამდე.

Strafaussetzung (F.) 1. პირობითი მსჯავრის დანიშვნა; 2. სასჯელის მოხდენისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება; die ~ widerrufen პირობითი მსჯავრის გაუქმება; ~ zur Bewährung პირობითი მსჯავრის შეფარდება, პირობით ვადამდე გათავისუფლება.

strafbar დასჯადი; sich ~ machen დანაშაულის ჩადენა.

Strafbarkeit (F.) დასჯადობა; ~ einer Handlung ქმედების დასჯადობა.

strafbedroht დასჯადი.

strafbedrohte Handlung (F.) დასჯადი ქმედება.

Strafbefehl (M.) მოსამართლის ბრძანება (გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე წვრილმანი დანაშაულის ან გადაცდომის შემთხვევაში).

Strafbestimmung (F.) სისხლის სამართლებრივი სანქცია.

Strafe (F.) 1. სასჯელი; 2. სახდელი; die ~ abbüßen, verbüßen სასჯელის მოხდა; die ~ antreten სასჯელის მოხდის დაწყება; die ~ erlassen სასჯელისგან გათავისუფლება; eine ~ festsetzen სასჯელის დანიშვნა; eine ~ mildern სასჯელის შემსუბუქება.

strafen დასჯა.

Straferkenntnis (F.) განაჩენი.

Strafgefangener (M.) 1. თავისუფლებალკვეთილი მსჯავრდებული; 2. პატიმარი.

Strafgericht (N.) სისხლის სამართლის სასამართლო; Internationales ~ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო.

Strafgesetz (N.) სისხლის სამართლის კანონი.

Strafgesetzbuch (N.) სისხლის სამართლის კოდექსი.

Strafherabsetzung (F.) სასჯელის ზომის შემცირება.

Strafkammer (F.) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატა.

Sträfling (M.) პატიმარი.

straflos არდასჯადი; ~e Handlung არდასჯადი ქმედება.

Strafmaß (N.) სასჯელის ზომა; höchstes ~ სასჯელის უკიდურესი ზომა.

Strafmaßrevision (F.) სასჯელის ზომის საკასაციო წესით გასაჩივრება.

Strafmilderung (F.) სასჯელის შემსუბუქება; außergewöhnliche ~ სასჯელის შემსუბუქება სასჯელის ზომის მინიმალურ ზღვარზე ქვემოთ; nachträgliche ~ სასჯელის შემსუბუქება განაჩენის გამოტანის შემდეგ.

Strafmilderungsgrund (M.) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

strafmündig შერაცხადი ასაკის გამო (სისხლ.).

Strafmündigkeit (F.) შერაცხადობა ასაკის გამო (სისხლ.).

Strafprozess (M.) სისხლის სამართლის პროცესი.

Strafprozessordnung (F.) (StPO) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

Strafprozessrecht (N.) სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი.

Strafrahmen (M.) სასჯელის ფარგლები; gesetzlicher ~ კანონით დადგენილი სასჯელის ფარგლები.

Strafrecht (N.) სისხლის სამართალი.

strafrechtlich სისხლის სამართლებრივი.

Strafrechtsentschädigung

Strafrechtsentschädigung (F.) სისხლისსამართლებრივი დევნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

Strafregister (N.) ნასამართლობის რეესტრი.

Strafrichter (M.) სისხლის სამართლის მოსამართლე.

Strafsache (F.) სისხლის სამართლის საქმე; *eine ~ anhängig machen* სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

Strafschärfung (F.) სასჯელის გამკაცრება.

Strafschärfungsgrund (M.) 1. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება; 2. გარემოება, რომელიც ამკაცრებს სასჯელს.

Strafsenat (M.) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია (გერმანიის სასამართლოებში).

Straftat (F.) დანაშაული (სისხლ.); *eine ~ ausführen* დანაშაულის ჩადენა; *einer ~ verdächtig sein* იყო დანაშაულში ეჭვიმტანილი; *eine ~ versuchen* დანაშაულის მცდელობა; *aufgeklärte ~* გახსნილი დანაშაული; *~ aus Gewinnsucht* ანგარებით ჩადენილი დანაშაული; *vollendete ~* დასრულებული დანაშაული.

Straftatbestand (M.) დანაშაულის შემადგენლობა.

Straftäter (M.) დამნაშავე (სისხლ.); *rückfallgefährdeter ~* პოტენციური რეციდივისტი.

Straftilgung (F.) ნასამართლობის გაქარწყლება; *vorzeitige ~* ნასამართლობის მოხსნა.

Strafumwandlung (F.) სასჯელის სახის შეცვლა.

strafunmündig შეურაცხადი ასაკის გამო (სისხლ.).

Strafunmündigkeit (F.) შეურაცხაობა ასაკის გამო (სისხლ.).

Strafurteil (N.) გამამტყუნებელი განაჩენი (სისხლ.); *freisprechendes ~* გამამართლებელი განაჩენი.

Strafvereitelung (F.) სისხლისსამართლებრივ დევნის ან განაჩენის აღსრულებისთვის ხელის შეშლა.

Strafverfahren (N.) 1. სისხლისსამართლებრივი წარმოება; 2. სისხლის სამართლის საქმე; *ein ~ einleiten* სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება; *ein ~ einstellen* სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა; *ein ~ vorläufig einstellen* სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერება.

Strafverfolgung (F.) სისხლისსამართლებრივი დევნა; *~ einleiten* სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

Strafverfügung (F.) დადგენილება პირის დაჯარიმების შესახებ (ადმინ. სამართალდარღვევა).

Strafverteidiger (M.) დამცველი სისხლის სამართლის პროცესზე.

Strafverteidigung (F.) დაცვა სისხლის სამართლის საქმეზე.

Strafvollstreckung (F.) სასჯელის აღსრულება.

Strafvollzug (M.) სასჯელის აღსრულება.

Strafvollzugsanstalt (F.) სასჯელაღსრულების დაწესებულება.

Strafvollzugsbeamter (M.) სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელი.

Strafvorschrift (F.) სისხლისსამართლებრივი ნორმა.

Strafzumessung (F.) 1. სასჯელის დანიშვნა; 2. სასჯელის ზომის განსაზღვრა.

Strafzweck (M.) სასჯელის მიზანი.

Strand (M.) სანაპირო.

Strandgut (N.) გემის დალუპვის შედეგად სანაპიროზე გამოჩეხული საგანი.

Strangulation (F.) 1. გაგუდება; 2. დახრჩობა; 3. ჩამოხრჩობა.

strangulieren 1. გაგუდება; 2. დახრჩობა; 3. ჩამოხრჩობა.

Straße (F.) 1. ქუჩა; 2. გზა.

Straßenbau (M.) საგზაო მშენებლობა.

Straßenbaubehörde (F.) საგზაო მშენებლობის სამსახური.

Straßenbaulast (F.) საგზაო მშენებლობის ვალდებულება (სახელმწიფოს ვალდებულება აშენოს და მოუაროს საზოგადოებრივი სარგებლობის გზებს).

Straßenbaulastträger (M.) საგზაო მშენებლობის ვალდებულების მქონე სუბიექტი.

Straßenraub (M.) ძარცვა საზოგადოებრივ ადგილას.

Straßenrecht (N.) ქუჩებში საზოგადოებრივი მოხმარების ნივთებითა და კონსტრუქციებით სარგებლობის მარეგულირებელი სამართალი.

Straßenverkehr (M.) საგზაო მოძრაობა.

Straßenverkehrsbehörde (F.) საგზაო მოძრაობაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო.

Straßenverkehrsgesetz (N.) კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ.

Straßenverkehrsordnung (F.) საგზაო მოძრაობის წესები.

Straßenverkehrsrecht (N.) საგზაო მოძრაობის სამართალი.

streichen ამოშლა, ამოღება, გაუქმება; Art. 12 (gestrichen) მუხ. 12 (ამოღებულია).

Streife (F.) პატრული.

streifen პატრულირება.

Streifenwagen (M.) საპატრულო მანქანა.

Streik (M.) გაფიცვა; ein sitzender ~ მჯდომარე გაფიცვა; einen ~ ausrufen გაფიცვის გამოცხადება; in den ~ treten გაფიცვის დაწყება.

Streikbrecher (M.) შტრაიკბრეხერი (პირი, რომელიც გაფიცვის დროს მუშაობს წარმოებაში).

streiken გაფიცვა.

Streikrecht (N.) გაფიცვის უფლება.

Streit (M.) 1. დავა; 2. კონფლიქტი; den ~ beilegen დავის მოგვარება; den ~ verhandeln დავის განხილვა.

streiten დავა.

Streitgegenstand (M.) დავის საგანი.

Streitgenosse (M.) საპროცესო თანამონაწილე (სამოქალაქო-სამართლებრივ პროცესში).

Streitgenossenschaft (F.) საპროცესო თანამონაწილეობა (სამოქალაქო-სამართლებრივ პროცესში); aktive ~ აქტიური საპროცესო თანამონაწილეობა (რამდენიმე მოსარჩელის არსებობა); passive ~ პასიური საპროცესო თანამონა-

streitig

ნილეობა (რამდენიმე მოპასუხის არსებობა).

streitig სადავო.

streitige Gerichtsbarkeit (F.) სადავო მართლმსაჯულება.

Streitigkeit (F.) 1. დავა; 2. კონფლიქტი; internationale ~ საერთაშორისო კონფლიქტი; öffentlich-rechtliche ~ საჯაროსამართლებრივი დავა; vermögensrechtliche ~ ქონებრივი დავა; zivilrechtliche ~ სამოქალაქოსამართლებრივი დავა.

Streitverkündung (F.) მესამე პირის ჩაბმა საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (სამოქ.).

Streitwert (M.) დავის საგნის ღირებულება.

streng მკაცრი.

Strengbeweis (M.) სასამართლოს მიერ მკაცრად ფორმალური წარმოების ფარგლებში და შეზღუდული მტკიცებულებების საფუძველზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

strittig სადავო.

Strohmann (M.) ცრუმაგიერი პირი.

Strom (M.) 1. დინება; 2. ელექტროენერგია.

Stromeinspeisung (F.) განახლებადი ენერჯის დანადგარიდან საჯარო ქსელში ელექტროენერჯის მიწოდება.

Stromeinspeisungsgesetz (N.) კანონი განახლებადი ენერჯის დანადგარებიდან მიღებული ელექტროენერჯის საჯარო ქსელში მიწოდების შესახებ.

Stromsteuer (F.) გადასახადი ელექტროენერჯის მოხმარებისთვის.

Stromsteuergesetz (N.) კანონი ელექტროენერჯის მოხმარებისთვის გადასახადის განსაზღვრის შესახებ.

Stück (N.) 1. ნაჭერი; 2. ცალი; 3. ერთეული.

Stückaktie (F.) აქცია ნომინალური ღირებულების გარეშე.

Stückschuld (F.) ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულება (სამოქ.).

Student (M.) სტუდენტი.

Studentenausschuss (M.) სტუდენტთა კავშირი.

Studentenschaft (F.) სტუდენტობა, სტუდენტთა ერთობლიობა.

Studentenwerk (N.) სტუდენტთა მომსახურების ცენტრი.

Studienordnung (F.) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმა.

studieren 1. შესწავლა; 2. სწავლა (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში).

Studierender (M.) სტუდენტი.

Studium (N.) 1. შესწავლა; 2. სწავლა (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში).

Stufe (F.) საფეხური.

stumm 1. მუნჯი; 2. უტყვი.

Stunde (F.) 1. საათი; 2. გაკვეთილი (სკოლაში).

stunden გადავადება.

Stundung (F.) გადავადება; ~ der Geldstrafe ფულადი ჯარიმის გადახდის გადავადება; ~ einer Geldforderung გადახდის გადავადება.

Sturz (M.) დაცემა.

subaltern 1. დაქვემდებარებული; 2. დამოკიდებული; 3. სუბალტერნული.

Subhastation (F.) იძულებით აუქციონზე გაყიდვა. იხ. Zwangsversteigerung.

Subjekt (N.) სუბიექტი.

subjektiv 1. სუბიექტური; 2. პირადი.

subjektive Unmöglichkeit (F.) ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა (სამოქ.).

subjektiver Tatbestand (M.) დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა (სისხლ.).

subjektives öffentliches Recht (N.) საჯაროსამართლებრივი უფლება (პირის უფლება სახელმწიფოსგან მოითხოვოს გარკვეული ქმედება).

subjektives Recht (N.) სუბიექტური უფლება.

subjektives Rechtfertigungselement (N.) პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სუბიექტური გარემოება (სისხლ.).

subjektives Tatbestandsmerkmal (N.) დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ნიშანი.

Subordination (F.) 1. სუბორდინაცია; 2. დაქვემდებარება.

subsidiär სუბსიდიური.

Subsidiarität (F.) სუბსიდიურობა.

Subsidie (F.) 1. სუბსიდია; 2. დოტაცია.

subskribieren 1. ხელმოწერა; 2. აბონირება.

Subskription (F.) 1. ხელმოწერა; 2. აბონირება.

Substitut (N.) სუბსტიტუტი, შემცვლელი.

Substitution (F.) 1. შეცვლა; 2. სათადარიგო მემკვიდრე.

subsumieren სამართლებრივი კვალიფიკაცია. იხ. Subsumtion.

Subsumtion (F.) სამართლებრივი კვალიფიკაცია (ნორმის დისპოზიციის მისადაგება საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან).

Subsumtionsirrtum (M.) შეცდომა სამართლებრივ კვალიფიკაციაში (სისხლ.) (პირის ცდომილება საკუთარი ქმედების დასჯადობაზე).

Subunternehmer (M.) ქვეკონტრაქტორი.

Subvention (F.) 1. სუბსიდია; 2. დოტაცია.

subventionieren სუბსიდიის, დოტაციის გაცემა.

Subventionsbetrug (M.) თაღლითობა სუბსიდიის მიღების მიზნით.

subversiv 1. გამანადგურებელი; 2. ძირგამომთხრელი.

suchen ძებნა.

Sucht (F.) 1. მანია; 2. ლტოლვა; 3. დამოკიდებულება რაიმეზე.

suggestiv 1. მიმახვედრებელი; 2. შთამაგონებელი; 3. მიმართულების მიმცემი; ~e Fragen პასუხის შემცველი, მიმახვედრებელი კითხვები.

Sühne (F.) 1. მონანიება; 2. სასჯელი; 3. გამოსყიდვა (დანაშაულის, ცოდვის); 4 მისაგებელი.

Suizid (M.) 1. სუიციდი; 2. თვითმკვლელობა.

Sukzession (F.) 1. სამართალმემკვიდრეობა; 2. უფლებამონაცვლეობა.

sukzessiv 1. თანმიმდევრულად; 2. თანდათანობით.

Sukzessivlieferungsvertrag (M.) ხელშეკრულება საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შესახებ.

summarisch 1. შემაჯამებელი; 2. მოკლე; ~er Prozeß გამარტივებული წარმოება; eine ~e Übersicht მოკლე, შემაჯამებელი მიმოხილვა, განზოგადება.

Summe (F.) 1. ჯამი; 2. შედეგი.

Sünde (F.) ცოდვა; eine ~ begehen ცოდვის ჩადენა; ~ vergeben ცოდვის შენდობა.

supranational ზეეროვნული, სუპრანაციონალური.

Surrogat (N.) 1. სუროგატი; 2. შემცვლელი; 3. სანაცვლო ნივთი ან უფლება (სამოქ.).

Surrogation (F.) სუროგაცია (სამოქ.).

suspekt საეჭვო.

suspendieren 1. უფლებამოსილების, მოქმედების შეჩერება; 2. თანამდებობიდან გათავისუფლება.

Suspendierung (F.) უფლებამოსილების, მოქმედების დროებით შეჩერება.

Suspension (F.) იხ. Suspendierung.

suspensiv 1. შემაჩერებელი; 2. შემაყოვნებელი; 3. სუსპენსიური.

Suspensivbedingung (F.) იხ. aufschiebende Bedingung.

Suspensiveffekt (M.) შემაჩერებელი, სუსპენსიური ეფექტი (ადმ.) (ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება მისი გასაჩივრებით). იხ. aufschiebende Wirkung.

Suzeranität (F.) სუზერენობა (ერთი სახელმწიფოს მიერ შეთანხმების საფუძველზე მეორე სახელმწიფოს მართვისა და ასევე მზრუნველობის აღება).

Syllogismus (M.) სილოგიზმი.

Symbol (N.) 1. სიმბოლო; 2. ნიშანი.

symbolisch სიმბოლური.

Synallagma (N.) ნაცვალგებითი (ორმხრივი) ურთიერთობა ვალდებულებით სამართალში.

synallagmatisch ნაცვალგებითი.

Syndikat (N.) სინდიკატი.

Syndikus (M.) იხ. Syndikusanwalt.

Syndikusanwalt (M.) 1. იურისკონსულტი; 2. დაწესებულების იურისტი.

Synode (F.) სინოდი.

System (N.) სისტემა.

Systematik (F.) სისტემატიკა.

systematisch 1. სისტემატური; 2. სისტემური.

systematische Interpretation (F.) სისტემური განმარტება (სამართლის ნორმის განმარტების ერთ-ერთი სახე, რომელიც ცალკეულ ნორმას განმარტავს სამართლის ერთიანი სისტემის ფარგლებში და ამ სისტემის მიზნებიდან გამომდინარე).

T

Tabelle (F.) 1. ცხრილი; 2. ტაბულა.

Tabu (N.) ტაბუ.

Tag (M.) 1. დღე; 2. დღე-ღამე.

Tagedieb (M.) 1. უსაქმური; 2. უქნარა.

Tagegeld (N.) დღიური სამივლინებო თანხა (მივლინებისას წარმოშობილი სადღელამისო ხარჯების დაფარვის სახსრები).

Tagelohn (M.) დღიური ანაზღაურება.

Tagelöhner (M.) დღიური მუშა; als ~ arbeiten დღიურად მუშაობა.

tagen სხდომის გამართვა.

Tagesordnung (F.) დღის წესრიგი; auf die ~ setzen დღის წესრიგში შეტანა; auf der ~ stehen დღის წესრიგში ყოფნა; von der ~ streichen, absetzen დღის წესრიგიდან ამოღება, მოხსნა.

Tagesordnungspunkt (M.) დღის წესრიგის საკითხი.

Tagessatz (M.) დღიური განაკვეთი.

täglich ყოველდღიური.

Tagung (F.) 1. სხდომა; 2. კონფერენცია; 3. სესია; auswärtige ~ des Gerichts სასამართლოს გასვლითი სხდომა; konstituierende ~ დამფუძნებელი სხდომა.

Tagungsort (M.) (კონფერენციის, სხდომის) გამართვის ადგილი.

Taktik (F.) ტაქტიკა; eine andere ~ einschlagen ტაქტიკის შეცვლა.

Talar (M.) 1. მოსამართლის მანტია; 2. ანაფორა.

Talion (F.) ტალიონი (სასჯელის ზომა, რომელიც ზუსტად შესაბამება მიყენებულ ზიანს).

Talon (M.) ტალიონი.

Tante (F.) 1. დეიდა; 2. მამიდა; 3. ბიცოლა.

Tantieme (F.) ტანტიემი (დამატებითი გასამრჯელო, რომელიც გაიცემა მოგების პროცენტის სახით კორპორაციის უმაღლეს თანამდებობის პირებზე; ხელოვანის წილი მისი ნაწარმოების გაყიდვიდან).

Tara (F.) 1. ტარა; 2. შეფუთვა.

Tarif (M.) 1. ტარიფი; 2. განფასება.

Tariffausschlussklausel (F.) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დათქმა, რომელიც პროფკავშირის არანევრ დასაქმებულებზე არ ავრცელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგიერთ პრივილეგიას.

Tariffautonomie (F.) კოლექტიური (სატარიფო) შრომითი ხელშეკრულების დადების თავისუფლება (მხარეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, სახელმწიფოს ჩაურევლად დადონ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება).

Tariffähigkeit (F.) კოლექტიური (სატარიფო) შრომითი ხელშეკრულების დადების უფლება.

Tarifgebundenheit (F.) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით შებოჭილობა.

tariflich სატარიფო.

Tarifpartner (M.) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მხარე.

Tarifrecht (N.) სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადების საკითხებს.

Tarifverhandlung (F.) კოლექტიური მოლაპარაკება (შრომ.).

Tarifvertrag (M.) კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება; სატარიფო ხელშეკრულება.

Taschendieb (M.) 1. ჯიბგირი; 2. ჯიბის ქურდი.

Taschengeld (N.) ჯიბის ფული.

Taschengeldparagraph (M.) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმა, რომელიც აწესებს არასრულწლოვანის უფლებას, დადოს ხელშეკრულება მისთვის ამ მიზნით ან თავისუფალი მოხმარებისთვის გადაცემული თანხის ოდენობით (მდრ. არასრულწლოვანის ემანსიპაცია).

Tat (F.) 1. ქმედება; 2. დანაშაული; auf frischer ~ ანტრეფფენ დანაშაულზე წასწრება; auf frischer ~ verfolgen ცხელ კვალზე დევნა; die ~ ausführen ქმედების განხორციელება; die ~ beweisen ქმედების ფაქტის დადგენა; die ~ gestehen დანაშაულის აღიარება; zur Begehung der ~ verleiten დანაშაულის ჩასადენად წაქეზება; absichtliche ~ განზრახვი ქმედება; rechtswidrige ~ კანონსაწინააღმდეგო ქმედება; verbrecherische ~ დანაშაულებრივი ქმედება; vollendete ~ დასრულებული დანაშაული; zur Last gelegte ~ შერაცხული ქმედება.

Tatbestand (M.) ნორმის დისპოზიციის.

Tatbestandsmerkmal (N.) დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი.

Tateinheit (F.) დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა.

Tatentschluss (M.) დანაშაულებრივი განზრახვა; den ~ fassen დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღება.

Täter (M.) 1. დამნაშავე; 2. დანაშაულის ჩამდენი პირი; nach dem ~ fahnden დამნაშავის ძებნა; flüchtig ~ მიმალული დამნაშავე; jugendlicher ~ არასრულწლოვანი დამნაშავე; mehrfacher ~ რეციდივისტი; mittelbarer ~ თანაამსრულებელი; mutmaßlicher ~ ეჭვმიტანილი; potentieller ~ პოტენციური დამნაშავე; unmittelbarer ~ დანაშაულის ამსრულებელი.

Täterschaft (F.) დანაშაულის ამსრულებლობა; mittelbare ~ თანაამსრულებლობა; unmittelbare ~ უშუალო ამსრულებლობა.

Tatfrage (F.) საკვანძო შეკითხვა სისხლის სამართალში (მაგ. არის თუ არა პირი დამნაშავე?).

tätig 1. ქმედითი; 2. აქტიური.

tätige Reue (F.) ქმედითი მონანიება.

Tätigkeit (F.) საქმიანობა; erfolgabendende ~ დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისკენ მიმართული საქმიანობა; finale ~ მიზანმიმართული საქმიანობა; gesellschaftlich nützliche ~ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა; rechtsschöpferische ~ სამართალმემოქმედებითი საქმიანობა; staatliche ~ სახელმწიფო საქმიანობა; staatsfeindliche ~ ანსტისახელმწიფოებრივი საქმიანობა vorbeugende ~ პრევენციული საქმიანობა.

Tätigkeitsdelikt (N.) მოქმედებით ჩადენილი დანაშაული.

Tatmehrheit (F.) დანაშაულთა ერთობლიობა.

Tatort (M.) 1. შემთხვევის ადგილი; 2. დანაშაულის ჩადენის ადგილი; am ~ liegen lassen შემთხვევის ადგილზე მიტოვება; fingierter ~ შეცდომაში შეყვანის მიზნით მონყობილი დანაშაულის ჩადენის ადგილი.

Tatsache (F.) ფაქტი; eine ~ bestätigen ფაქტის დადასტურება; eine ~ verbreiten ფაქტის გავრცელება; belastende ~ ბრალის დამამძიმებელი ფაქტი; entlastende ~ უდანაშაულობის დამადასტურებელი ფაქტი; entscheidungserhebliche ~ ფაქტი, რომელიც არსებითაა გადაწყვეტილების მისაღებად; feststehende ~ უტყუარი ფაქტი; geheimzuhaltende ~ ფაქტი, რომელიც არ უნდა გახმაურდეს; gerichtsbekannte [gerichtskundige] ~ სასამართლოსთვის ცნობილი factinotorische [offenkundige] ~ ამკარა, უტყუარი ფაქტი; rechts-erhebliche ~ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი; rechtshemmende ~ ფაქტი, რომელიც ხელს უშლის უფლების განხორციელებას; rechtshindernde ~ ფაქტი, რომელიც გამორიცხავს უფლების განხორციელებას; rechtsver-nichtende ~ უფლების მომსპობი ფაქტი; ~ von rechtlicher Bedeu-tung იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი.

Tatsachenirrtum (M.) თაღლითობის შემადგენელი ელემენტი, როდესაც ხდება თაღლითობის მსხვერვლის განზრახ შეცდომაში შეყვანა.

tatsächlich 1. ფაქტობრივად; 2. ფაქტობრივი.

Tatstrafrecht (N.) სისხლის სამართლის თეორია, რომელიც დამყარებულია სასჯელის შეფარდებისას მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრაზე და არ ითვალისწინებს დამნაშავის პიროვნებას, დანაშაულის ჩადენის გარემოებებს.

Tatumstand (M.) დანაშაულის გარემოება; objektiver ~ დანაშაულის ობიექტური გარემოება; subjektiver ~ დანაშაულის სუბიექტური გარემოება.

Tatumstandsirrtum (M.) დანაშაულის ჩადენა დანაშაულის ნიშნების ცოდნის, გაცნობიერების გარეშე (ანუ დამნაშავემ არ იცის, რას აკეთებს).

Tatverdacht (M.) დანაშაულის ჩადენის ეჭვი; dringender ~ დანაშაულის ჩადენის სერიოზული ეჭვი; eventueller ~ დანაშაულის ჩადენის ირიბი ეჭვი; hinreichender ~ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი.

taub ყრუ.

taubstumm ყრუ-მუნჯი.

Taufe (F.) ნათლობა.

taufen მონათვლა.

tauglich 1. გამოსადეგი; 2. ვარგისი.

Tauglichkeit (F.) 1. ვარგისობა; 2. გამოსადეგობა.

Tausch (M.) გაცვლა.

täuschen 1. მოტყუება; 2. შეცდენა.

tauschen გაცვლა.

Täuschung (F.) 1. მოტყუება; 2. ფალსიფიკაცია; 3. ცდომილება; 4. ილუზია; optische ~ ოპტიკური ილუზია.

Taxe (F.) 1. ნიხრი; 2. ტაქსა; ლაუტ ~ zahlen ნიხრით გადახდა; zur ~ kaufen ნიხრის მიხედვით ყიდვა; übliche ~ დადგენილი ნიხრი.

Taxi (N.) ტაქსი.

taxieren 1. ნიხრის განსაზღვრა; 2. შეფასება.

Technik (F.) ტექნიკა.

technisch ტექნიკური.

Technischer Überwachungsverein (M.) (TÜV) ტექნიკური ზედამხედველობის კავშირი.

Teil (M.) 1. წილი; 2. ნაწილი.

teilbar 1. გაყოფადი; 2. დანაწილებადი.

teilbare Leistung (F.) დანაწილებადი შესრულება (სამოქ.).

Teilbesitz (M.) ნივთის ცალკეული ნაწილის მფლობელობა (სამოქ.).

Teileigentum (N.) საკუთრება შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ წარმოადგენს საცხოვრებელ ფართს (მაღაზია, სალონი, ავტოსადგომი, სარდაფი).

teilen 1. გაყოფა; 2. გაზიარება; j-s Ansichten ~ ვინმეს შეხედულებების გაზიარება.

Teilgläubiger (M.) კრედიტორი, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ შესრულების ნაწილი (სამოქ.).

Teilhaber (M.) 1. მონილე; 2. კომპანიონი; 3. მეპაიე.

Teilhaberschaft (F.) მენილეობა.

Teilleistung (F.) ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება (სამოქ.).

Teilnahme (F.) მონაწილეობა.

Teilnehmer (M.) 1. მონაწილე; 2. თანამონაწილე; ~ am Diebstahl ქურდობის თანამონაწილე.

Teilnichtigkeit (F.) გარეგების ნაწილის ბათილობა.

Teilschuld (F.) ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც უნდა შეასრულოს ერთმა მოვალემ (სამოქ.).

Teilschuldner (M.) მოვალე, რომელიც ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ ვალდებულების ნაწილი (სამოქ.).

Teilstaat (M.) ფედერალური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი პოლიტიკური ერთეული.

Teilstreik (M.) ნაწილობრივი გაფიცვა (როდესაც იფიცება მხოლოდ მუშაკთა ნაწილი).

Teilung (F.) 1. გაყოფა; 2. დანაწილება; ~ der Erbmasse სამკვიდრო ქონების გაყოფა; ~ der Gewalten ხელისუფლების დანაწილება; ~ des Vermögens ქონების გაყოფა; ~ in natura ნატურით გაყოფა.

Teilungsanordnung (F.) წილის განსაზღვრა მოანდერძის მიერ.

Teilungsklage (F.) სარჩელი საერთო საკუთრების გაყოფის თაობაზე.

Teilungsversteigerung (F.) იძულებითი აღსრულების ფარგლებში აუქციონზე გაყიდვა ამონაგების თანხის გაყოფის მიზნით.

Teilurteil (N.) ნაწილობრივი გადაწყვეტილება (სამოქ.).

teilweise ნაწილობრივ.

Teilzahlung (F.) 1. ნაწილ-ნაწილ გადახდა; 2. განვადება.

Teilzahlungsabrede (F.) 1. შეთანხმება ნაწილ-ნაწილ გადახდაზე; 2. განვადების შეთანხმება.

Teilzahlungsgeschäft (N.) გარიგება განვადებით გადახდის პირობით.

Teilzeit (F.) 1. არასრული განაკვეთი; 2. დროის მონაკვეთი.

Teilzeitarbeit (F.) არასრულგანაკვეთიანი სამუშაო (შრომ.).

Teilzeitwohnrecht (N.) თაიმშერი (თანამფლობელობის სახეობა, როდესაც ხდება განთავსების საშუალების გრძელვადიანი დაქირავება განსაზღვრული დროის განმავლობაში მისი სარგებლობის უფლებით).

Telefax (N.) ტელეფაქსი, ფაქსი.

Telefon (N.) ტელეფონი.

Telegramm (N.) დეპეშა.

Telekommunikation (F.) 1. ტელეკომუნიკაცია; 2. ელექტრონული კომუნიკაცია.

Telekommunikationsgesetz (N.) კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.

Teleologie (F.) თელეოლოგია.

teleologisch თელეოლოგიური.

teleologische Auslegung (F.) თელეოლოგიური განმარტება (ნორმის განმარტება მხოლოდ მისი, ანუ კანონმდებლის მიზნის გათვალისწინებითა და მიხედვით).

teleologische Reduktion (F.) თელეოლოგიური რედუქცია (ნორმის განმარტების მეთოდი, როდესაც ნორმის მიზნიდან გამომდინარე ხდება მისი ყველაზე ვიწრო გაგებით გამოყენება).

Teleshopping (N.) ტელეშოპინგი.

Tendenz (F.) 1. ტენდენცია; 2. მიმართულება; 3. სწრაფვა; **rechtspolitische** ~ სამართლებრივ-პოლიტიკური ტენდენცია.

Tendenzbetrieb (M.) სანარმო, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ კომერციულ მიზნებს.

Tenor (M.) ტენორი (ტექსტის ძირითადი არსი). იხ. **Urteilstenor**.

Termin (M.) 1. ვადა; 2. თარიღი; 3. სასამართლო სხდომა; დრო; **einen** ~ **abhalten** სასამართლო სხდომის გამართვა; **den** ~ **ansetzen** სასამართლო სხდომის დანიშვნა; **den** ~ **einhalten** ვადის დაცვა; **einen** ~ **versäumen** სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა; **zum** ~ **erscheinen** სასამართლო სხდომაზე გამოცხადება; **äußerster** ~ ბოლო ვადა; **bindender** ~ სავალდებულო ვადა.

Termineinlage (F.) ვადიანი ანაბარი.

Termingeschäft (N.) ნასყიდობის ხელშეკრულება შეთანხმებული ფასით, რომელიც უნდა შესრულდეს გარკვეული დროის შემდეგ.

terminieren 1. დროის განსაზღვრა; 2. სხდომის ჩანიშვნა.

territorial ტერიტორიული.

Territorialgerichtsbarkeit (F.) ტერიტორიული განსჯადობა.

Territorialität (F.) ტერიტორიულობა.

Territorialitätsprinzip (N.) ტერიტორიულობის პრინციპი.

Territorialstaat (M.) ტერიტორიული სახელმწიფო.

Territorium (N.) ტერიტორია.

Terror (M.) ტერორი.

Terrorismus (M.) ტერორიზმი; **rechtsextremistischer** ~ მემარჯვენე ექსტრემისტული ტერორიზმი.

Terrorist (M.) ტერორისტი.

Test

Test (M.) 1. ტესტი; 2. გამოცდა; 3. ანალიზი; 4. სინჯი.

Testament (N.) ანდერძი; ein ~ aufsetzen ანდერძის შედგენა; ein ~ hinterlassen ანდერძის დატოვება; gemeinschaftliches ~ ერთობლივი ანდერძი; holographisches ~ შინაურული ანდერძი; korrespondentes ~ მეუღლეთა მიერ ერთმანეთის სასარგებლოდ ანდერძის შედგენა; notarielles ~ ნოტარიულად დადასტურებული ანდერძი.

testamentarisch 1. ანდერძისმიერი; 2. ანდერძით განსაზღვრული.

Testamentsvollstrecker (M.) ანდერძის აღმსრულებელი.

Testamentsvollstreckung (F.) ანდერძის აღსრულება.

Testat (N.) 1. დადასტურება; 2. დასტური.

Testator (M.) 1. მონადერძე; 2. პირი, რომელიც იძლევა რაიმეზე წერილობით დასტურს.

testieren 1. ანდერძის შედგენა, დატოვება; 2. დადასტურება.

testierfähig ანდერძის შედგენისთვის ქმედუნარიანი.

Testierfähigkeit (F.) მონადერძის ქმედუნარიანობა.

Testierfreiheit (F.) ანდერძის შედგენის თავისუფლება (სიკვდილის შემდეგ საკუთარი ქონების თავისუფლად განკარგვის უფლება)

Text (M.) ტექსტი; authentischer ~ ავთენტური ტექსტი (საერთ.); verschlüsselter ~ დაშიფრული ტექსტი.

Textform (F.) ტექსტური ფორმა (განსხვავებით წერილობითი ფორმისგან აუცილებელი არ არის

ხელმოწერა. მაგ. ელწერილი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ფაქსი).

Textverarbeitung (F.) ტექსტის დამუშავება.

Theaterrecht (N.) სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს თეატრალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საავტორო და შრომით უფლებებს.

Thema (N.) თემა.

Theokratie (F.) თეოკრატია.

Theologie (F.) 1. თეოლოგია; 2. ღვთისმეტყველება.

Theorie (F.) თეორია.

Therapie (F.) 1. თერაპია; 2. მკურნალობა.

These (F.) თეზისი; eine ~ aufstellen თეზისის წარმოდგენა; eine ~ verfechten [verteidigen] თეზისის დაცვა.

Thron (M.) სამეფო ტახტი; den ~ besteigen ტახტზე ასვლა, გამეფება.

Thronrede (F.) სეფე-სიტყვა.

Tier (N.) ცხოველი.

Tierhalter (M.) ცხოველის მფლობელი.

Tierhüter (M.) პირი, რომელსაც დროებით მიბარებული ჰყავს ცხოველი.

Tierkörper (M.) ცხოველის სხეული.

Tierkörperbeseitigungsrecht (N.) სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს ცხოველთა გვამის უტილიზაციის საკითხებს.

Tierschutz (M.) ცხოველთა დაცვა.

tilgen 1. ვალის დაფარვა; 2. ვალის გადახდა.

Tilgung (F.) 1. გადახდა; 2. დაფარვა; 3. მოხსნა; *gnadenweise* ~ ვალის პატიება; *ratenweise* ~ von *Schulden* ვალების ნაწილ-ნაწილ გადახდა; ~ *aus dem Strafregister* ნასამართლობის რეესტრიდან ამოღება; ~ *einer Verbindlichkeit* ვალდებულების დაფარვა.

Tilgungsrate (F.) სესხის დასაფარი პერიოდული შენატანის ოდენობა.

Titel (M.) 1. ტიტული; 2. წოდება; 3. დოკუმენტალურად დადასტურებული უფლება; 4. თავი.

Titelschutz (M.) სახელწოდების დაცვა (საავტ.).

Tochter (F.) 1. ქალიშვილი; 2. ასული.

Tochtergesellschaft (F.) შვილობილი საზოგადოება.

Tochterunternehmen (N.) შვილობილი საწარმო.

Tod (M.) 1. სიკვდილი; 2. გარდაცვალება; *den* ~ *anzeigen* განცხადება გარდაცვალების შესახებ; *den* ~ *herbeiführen*, *verursachen* სიკვდილის გამოწვევა; *von* ~ *es wegen* გარდაცვალების გამო; *bürgerlicher* ~ სამოქალაქო გარდაცვალება, სამოქალაქო უფლებების აყრა; *gewaltsamer* ~ მკვლელობა; *natürlicher* ~ ბუნებრივი სიკვდილი.

Todeserklärung (F.) გარდაცვლილად გამოცხადება (სამოქ.).

Todesstrafe (F.) სიკვდილით დასჯა; *die* ~ *vollstrecken* სიკვდილის დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა.

Todesvermutung (F.) გარდაცვალების ვარაუდი (უგზო-უკვლოდ

დაკარგული პირის მიმართ) (სამოქ.).

Todeszelle (F.) სიკვდილმისჯილთა საკანი.

tödlich 1. სასიკვდილო; 2. მომავლედინებელი.

Toleranz (F.) 1. ტოლერანტობა; 2. შემწყნარებლობა.

tolerieren 1. ტოლერირება; 2. შემწყნარება.

Tortur (F.) წამება; *j-n der* ~ *unterwerfen* წამება.

tot 1. მკვდარი; 2. გარდაცვლილი; 3. უსიცოცხლო; *für* ~ *erklären* გარდაცვლილად გამოცხადება; *für* ~ *gelten* ითვლებოდეს გარდაცვლილად.

tote Hand (F.) საკუთრება, რომელიც არ შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს და ამით ამოღებულია კერძო ეკონომიკური მიმოქცევიდან (საეკლესიო, ფონდების ქონება).

töten მოკვლა.

Totgeburt (F.) მკვდრადშობა.

Totschlag (M.) განზრახ სიცოცხლის მოსპობა დამამძიმებელი გარემოების გარეშე.

Totschläger (M.) მკვლელი (პირი, რომელმაც ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა დამამძიმებელი გარემოების გარეშე).

Tötung (F.) im *Straßenverkehr* სიცოცხლის მოსპობა სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად.

Tötung (F.) სიცოცხლის მოსპობა; ~ *mit gemeingefährlichen Mitteln* სიცოცხლის მოსპობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს

trachten

ან ჯანმრთელობას; *fahrlässige* ~ სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით; *heimtückische* ~ მზაკერული მკვლელობა; ~ *auf Verlangen* სიცოცხლის მოსპობა მსხვერპლის თხოვნით; ~ *durch Unterlassen* სიცოცხლის მოსპობა უმოქმედობით; *versuchte* ~ სიცოცხლის მოსპობის მცდელობა; *vorsätzliche* ~ განზრახი სიცოცხლის მოსპობა.

trachten სწრაფვა.

Tradition (F.) ტრადიცია.

Traditionspapier (N.) ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა მასში აღნიშნული ნივთის საკუთრების უფლებას.

Träger (M.) სუბიექტი, (მაგალითად, რაიმე უფლების) მატარებელი.

Transfer (M.) 1. ტრანსფერი; 2. გადარიცხვა; 3. გადაყვანა.

transferieren 1. ტრანსფერი; 2. გადარიცხვა; 3. გადატანა.

Transformation (F.) 1. ტრანსფორმაცია; 2. გარდაქმნა; 3. იმპლემენტაცია.

Transformationsgesetz (N.) კანონი, რომლითაც ხდება საერთაშორისო სამართლის ნორმის იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

Transformationsland (N.) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა.

Transformationswirtschaft (F.) გარდამავალი ეკონომიკა.

transformieren 1. ტრანსფორმირება; 2. გარდაქმნა; 3. სახეცვლა.

Transfusion (F.) 1. სისხლის გადასხმა; 2. ტრანსფუზია.

Transit (M.) ტრანზიტი.

Transplantation (F.) 1. ტრანსპლანტაცია; 2. გადანერგვა.

transplantieren 1. ტრანსპლანტირება; 2. გადანერგვა.

Transport (M.) 1. ტრანსპორტირება; 2. გადაზიდვა; 3. გადაყვანა; 4. ტრანსპორტი.

transportieren 1. ტრანსპორტირება; 2. გადაზიდვა; 3. გადაყვანა.

Trassant (M.) 1. ტრანსანტი; 2. გადასაპირებელი თამასუქის გამცემი.

Trassat (M.) 1. ტრასატი; 2. თამასუქის გადამხდელი.

Tratte (F.) 1. ტრატა; 2. გადასაპირებელი თამასუქი; *eine* ~ *begeben* ტრატის გამოწერა; *eine* ~ *einziehen* ტრატის მიღება გადამხდელის მიერ.

trauen 1. ნდობა; 2. გაბედავა; 3. დაქორწინება; *sich* ~ *lassen* ჯვრისწერა, დაქორწინება; *sich auf dem Standesamt* [standesamtlich] ~ *lassen* სამოქალაქო ქორწინების გაფორმება.

Trauung (F.) 1. ქორწინება; 2. ჯვრისწერა; *bürgerliche* [standesamtliche] ~ სამოქალაქო ქორწინება; *kirchliche* ~ საეკლესიო ქორწინება, ჯვრისწერა.

Trauzeuge (M.) 1. ქორწინების მონემ; 2. მეჯვარე.

Travellerscheck (M.) სამგზავრო ჩეკი.

trennen 1. გამოყოფა; 2. განსხვავება; 3. გათიშვა; 4. დიფერენცირება.

Trennung (F.) 1. გამოყოფა; 2. გამიჯვნა; 3. განცალკევება; 4. დანაწილება; ~ *der Ehe* ქორწინების შეწყვეტა; ~ *der Gewalten* ხელი-

სუფლების დანაწილება; ~ **verbundener Strafsachen** სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა; ~ **von Staat und Kirche** ეკლესიის გამიჯვნა სახელმწიფოსგან.

Trennung (F.) დაშორება.

Treu (F.) und **Glauben** (M.) კეთილსინდისიერება (სამოქ.); **nach** ~ კეთილსინდისიერად; **Grundsatz von** ~ კეთილსინდისიერების პრინციპი.

treu ერთგული.

Treubruch (M.) 1. ვერაგობა; 2. მზაკვრობა; 3. ღალატი; 4. ნდობის დარღვევა; ~ **begehen** ვერაგულად მოქცევა; **landesverräterischer** ~ სამომბლოს ღალატი.

treubrüchig 1. მზაკვრული; 2. ვერაგული.

Treubruchtatbestand (M.) დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც მდგომარეობს ნდობის ბოროტად გამოყენებაში.

Treue (F.) ერთგულება.

Treuepflicht (F.) ერთგულების ვალდებულება.

Treugeber (M.) საკუთრების მიმნდობი (სამოქ.).

Treuhand (F.) 1. ტრასტი; 2. საკუთრების მინდობა (სამოქ.).

Treuhänder (M.) მინდობილი მესაკუთრე (სამოქ.).

treuhänderisch 1. მინდობილი; 2. ნდობითი; 3. ფიდუციარული.

treuhänderischer Besitzer (M.) მინდობილი მფლობელი (სამოქ.).

Treuhänderschaft (F.) ტრასტი.

Treuhandgesellschaft (F.) 1. საზოგადოება, რომელიც ახორციელებს მინდობილი ქონების მართვას; 2. სატრასტო კომპანია.

Treuhandkonto (N.) მინდობილი ანგარიში (საბანკო ანგარიში, რომელსაც პირი მართავს საკუთარი სახელით და მინდობის ხარჯზე).

Treuhandschaft (F.) 1. საკუთრების მინდობა; 2. ტრასტი (სამოქ.).

Treuhandverhältnis (N.) 1. საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა; 2. სატრასტო ურთიერთობა.

Treuehmer (M.) იხ. **Treuhänder**.

Treuwidrig არაკეთილსინდისიერი.

Tribunal (N.) ტრიბუნალი.

Tribut (M.) 1. ძღვენი; 2. მიძღვნა.

Trichotomie (F.) ტრიქოტომია, სამ ნაწილად გაყოფა (ფრანგული სამართლიდან მომდინარე დაყოფა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებებისა დანაშაულად, დელიქტად და გადაცდომად).

Trieb (M.) 1. ლტოლვა; 2. ჟინი.

Triebtäter (M.) პირი, რომელიც დანაშაულს ჩადის საკუთარი ჟინის დასაკმაყოფილებლად.

trinken 1. სმა; 2. დაღვება.

Trinkgeld (N.) წვრილმანი გასამრჯელო (მაგ. ოფიციანტისთვის მაღლიერების სახით დატოვებული წვრილმანი გასამრჯელო).

Trödel (M.) 1. ძველმანი; 2. მეორადი მოხმარების ნივთები.

Trödelvertrag (M.) ძველმანის გაყიდვის ხელშეკრულება (ერთი მხარე გადასცემს გასაყიდ ნივთს მეორე მხარეს, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იხდის შეთანხმებულ ფასს ან აბრუნებს ნივთს).

Trucksystem

Trucksystem (N.) შრომის ანაზღაურების ნატურით გადახდის სისტემა.

Trunkenheit (F.) 1. სიმთვრალე; 2. ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა; pathologische ~ პათოლოგიური სიმთვრალე.

Trunkenheit (F.) im Straßenverkehr სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში.

Trunkenheit am Steuer (F.) სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში.

Trunksucht (F.) ალკოჰოლიზმი.

Trust (M.) 1. საკუთრების მინდობა; 2. ტრასტი.

Tücke (F.) 1. მზაკვრობა; 2. ვერაგობა.

Tun (N.) 1. ქმედება; 2. მოქმედება; 3. ქცევა; durch ~ მოქმედებით; aktives ~ აქტიური ქმედება; vorangegangenes gefahrbegründendes ~ წი-

ნამორბედი ქმედება, რომელმაც შექმნა საფრთხე.

tun ქმნა; კეთება.

Turnus (M.) ციკლი.

Tutor (M.) ტუტორი.

Typ (M.) 1. ტიპი; 2. ნიმუში; 3. სორტი.

Typenschmelzungsvertrag (M.) შერეული ხელშეკრულების სახე, რომელშიც ერთი მხარის ვალდებულება მოიცავს სხვადასხვა სახის ხელშეკრულების ნიშნებს.

Typenzwang (M.) numerus clausus პრინციპი, როდესაც შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ამომწურავი ჩამონათვალადან რომელიმე ფორმის შერჩევა.

typisieren 1. სტანდარტიზირება; 2. უნიფიცირება.

Tyrann (M.) ტირანი.

U

Übel (N.) 1. ბოროტება; 2. ავადმყოფობა.

übel 1. ცუდი; 2. უხეირო.

Übeltäter (M.) ბოროტმოქმედი.

üben 1. ვარჯიში; 2. განაფვა.

überantworten გადაცემა; j-n dem Gericht ~ ვინმეს სასამართლოსთვის გადაცემა.

Überbau (M.) 1. დაშენება; 2. მშენებლობის დროს საზღვრების დარღვევა.

überbauen დაშენება.

überbringen 1. გადაცემა; 2. მიწოდება.

Überbringer (M.) 1. წარმომდგენი; 2. წარმდგენი.

übereignen 1. საკუთრების უფლების გადაცემა; 2. საკუთრების უფლების გადასვლა.

Übereignung (F.) 1. საკუთრების უფლების გადაცემა; 2. საკუთრების უფლების გადასვლა.

Übereinkommen (N.) 1. შეთანხმება; 2. ხელშეკრულება; 3. კონვენცია (საერთ.); ein ~ treffen [zu einem ~ gelangen] შეთანხმების მიღწევა; stillschweigendes ~ უსიტყვო შეთანხმება.

Übereinkommen (N.) der Verinter Nationem über Verträge über den internationalen Warenkauf (CISG) გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ.

Übereinkommen (N.) über Sondelsbesogene Aspekte der Rechte des geistigen Eigentums (TRIPS) შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (საერთ.).

übereinkommen შეთანხმება.

Übereinkommen über den Beförderungsvertrag im internationalen Straßengüterverkehr (CMR) კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ.

Übereinkunft (F.) იხ. Übereinkommen.

übereinstimmen 1. შეთანხმება; 2. დათანხმება.

Überfall (M.) თავდასხმა.

überfallen თავდასხმა; einen Menschen ~ ადამიანზე თავდასხმა; eine Bank ~ ბანკზე თავდასხმა.

überführen 1. მხილება; 2. გამოაშკარავება; 3. გადატანა; 4. გადაყვანა.

Übergabe (F.) 1. გადაცემა; 2. ჩაბარება; ~ an das Gericht საქმის გადაცემა სასამართლოსთვის.

Übergang (M.) 1. გადასვლა; 2. გადასასვლელი; ~ der Eigentümer-

befugnisse მესაკუთრის უფლებამოსილების გადასვლა; ~ des Eigentums საკუთრების გადასვლა; ~ über die Grenze საზღვრის გადაკვეთა; ~ des Erbrechts მემკვიდრეობითი ტრანსმისია.

übergeben 1. გადაცემა; 2. ჩაბარება.

übergehen (V.) დარღვევა.

übergesetzlicher Notstand (M.) ზეკანონური უკიდურესი აუცილებლობა. (უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც დაფუძნებულია არა კანონით უშუალოდ გათვალისწინებულ მიზეზებზე, არამედ იგივე ან უფრო მაღალი ფასეულობის მქონე სამართლებრივ პრინციპებზე).

Überhang (M.) 1. სიჭარბე; 2. ვალის ნაწილი, რომელიც ჯერ არ არის დაფარული; 3. მეზობელ ნაკვეთზე გადასული ხის ფესვები და ტოტები.

Überhangmandat (N.) დამატებითი მანდატი (გფრ-ის საარჩევნო სისტემაში სიტუაცია, როდესაც რომელიმე პარტია იღებს უფრო მეტ პირდაპირ მანდატს, ვიდრე მას შეიძლება რეგობოდა პროპორციულ არჩევნებში მიღებული შედეგით, რაც თავის მხრივ იწვევს ბუნდესთაგში დეპუტატთა რაოდენობის ზრდას).

überholen 1. გასწრება; 2. გადასწრება.

überholende Kausalität (F.) განწყვეტილი მიზეზობრიობა, გამსწრები მიზეზობრიობა (სისხ.).

überlassen (V.) გადაცემა; დათმობა.

Überlassung (F.) გადაცემა; დათმობა; ~ der Ware საქონლის დათმობა; ~ von Sachen zum Gebrauch

überlasten

ნივთების გადაცემა სარგებლობაში.

überlasten გადატვირთვა.

überlegen (Adj.) უპირატესი.

überlegen (V.) მოფიქრება, განსჯა.

Überlegenheit (F.) უპირატესობა.

überleiten 1. გადატანა; 2. გადამისამართება; 3. გადასვლა.

Überleitung (F.) გადასვლა.

Überleitungsvertrag (M.) მეორე მსოფლიო ომისა და ოკუპაციის შედეგების დარეგულირების ხელშეკრულება (გერ. 1952წ.).

Übermaß (N.) სიჭარბე, გადაჭარბება.

Übermaßverbot (N.) არაპროპორციული ჩარევის აკრძალვა (ადმ.).

Übernahme (F.) 1. მიღება; 2. საკუთარ თავზე აღება; ~ der Bürgschaft თავდებად დადგომა; ~ der Erbschaft მემკვიდრეობის მიღება; ~ einer Schuld სხვისი ვალის საკუთარ თავზე აღება; ~ eines Amtes თანამდებობის დაკავება; ~ eines Unternehmens სანარმოს შექმნა.

übernehmen 1. მიღება; 2. საკუთარ თავზე აღება.

überprüfen 1. შემოწმება; 2. კონტროლი; 3. გადახედვა; 4. გადამოწმება.

Überprüfung (F.) 1. შემოწმება; 2. გადამოწმება; 3. რევიზია; 4. კონტროლი.

überschreiben 1. გადაწერა; 2. გადაფორმება.

überschreiten 1. გადამეტება; 2. გადაჭარბება; 3. დარღვევა; ein Gesetz ~ კანონის დარღვევა; den Termin ~ ვადის დარღვევა; den

Kredit ~ კრედიტის ლიმიტის გადამეტება.

Überschreitung (F.) 1. გადამეტება; 2. გადაკვეთა; 3. დარღვევა; ~ der Anklage ბრალდების მიღმა ფაქტებისა და გარემოებების განხილვა; ~ der Geschwindigkeit სიჩქარის გადამეტება; ~ der Notwehr აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.

Überschrift (F.) 1. წარწერა; 2. სათაური.

überschulden ზედავალიანება.

Überschuldung (F.) ვალაუვალობა, ზედავალიანება.

Überschuss (M.) სიჭარბე.

überseeisch 1. ტრანსატლანტური; 2. ზღვისგალმა.

Übersicherung (F.) შეუსაბამო რეალიზაციის შემთხვევაში დატვირთული ნივთის ღირებულებასა და უზრუნველყოფილ ვალდებულებას შორის (სამოქ.).

überstimmen ხმათა უმრავლესობით გამარჯვება.

Überstunde (F.) ზეგანაკვეთური სამუშაო; ~ leisten [machen] ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება.

übertragbar 1. გადამდები; ~ e Krankheit გადამდები დაავადება; 2. გადაცემადი; ~ es Recht გადაცემადი უფლება.

übertragen 1. გადატანა; 2. გადადება; 3. გადაცემა; 4. დელეგირება; ein Recht ~ უფლების.

übertragener Wirkungskreis (M.) დელეგირებული კომპეტენცია (ადმინ.).

Übertragung (F.) 1. გადატანა; 2. გადადება; 3. გადაცემა; 4. დელე-

გირება; ~ des Eigentums საკუთრების უფლების გადაცემა; ~ von Forderungen მოთხოვნის გადაცემა; ~ von Hoheitsrechten სუვერენული უფლებების გადაცემა, დელეგირება.

übertreten 1. დარღვევა; 2. გადაბიჯება.

Übertretung (F.) 1. გადაცდომა; 2. დარღვევა; 3. სამართალდარღვევა; schuldhaft ~ ბრალეული კანონდარღვევა.

überwachen 1. თვალთვალი; 2. ზედამხედველობა; 3. კონტროლი.

Überwachung (F.) 1. თვალთვალი; 2. ზედამხედველობა; 3. კონტროლი; unter ~ stehen თვალთვალის ქვეშ ყოფნა; elektrische ~ ელექტრონული სიგნალიზაცია; hygienische ~ სანიტარული ზედამხედველობა; technische ~ ტექნიკური ზედამხედველობა; ~ verdächtiger Personen ეჭვმიტანილის თვალთვალი; vorbeugende ~ პროფილაქტიკური ზედამხედველობა.

überweisen გადარიცხვა.

Überweisung (F.) გადარიცხვა; ~ erhalten ფულადი გადარიცხვის მიღება; ~ an Zahlung statt გადახდის სანაცვლოდ სხვა პირთა მიმართ მოვალის მოთხოვნების გადაცემა კრედიტორისთვის; ~ von Geld ფულის გადარიცხვა.

Überweisungsbeschluss (M.) სასამართლოს განჩინება მოვალის მოვალეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების პირველი მოვალის კრედიტორის სასარგებლოდ შესრულების შესახებ (საალსრ.).

überzeugen დარწმუნება.

Überzeugung (F.) რწმენა; richterliche ~ მოსამართლის რწმენა.

Überzeugungstäter (M.) იდეოლოგიური დამნაშავე (პირი, რომელიც დანაშაულს ჩადის იდეოლოგიური შეხედულებების გამო).

überziehen 1. გადაცემა; 2. გადაცილება; 3. გადახარჯვა; Konto ~ ანგარიშის გადახარჯვა.

Überziehung (F.) 1. გადაჭარბება; 2. გადახარჯვა; ~ eines Kontos საბანკო ანგარიშის გადახარჯვა.

Überziehungskredit (M.) ოვერდრაფტი.

üble Nachrede (F.) შეურაცხყოფა (ღირსების შემლახავი).

Übung (F.) 1. ვარჯიში; 2. წვრთნა; 3. პრაქტიკა; 4. ჩვევა.

Ufer (N.) ნაპირი.

Ultimatum (N.) ულტიმატუმი; ein ~ stellen ულტიმატუმის წაყენება.

ultra-vires-Lehre (F.) უფლებამოსილების მიღმა, ულტრა ვირეს სწავლება (კომერციული საზოგადოების მმართველობის უფლებამოსილების შეზღუდვა საზოგადოების წესდებით განსაზღვრული მიზნით).

umbringen მოკვლა.

umdeuten სხვაგვარი განმარტების მინიჭება.

Umdeutung (F.) სხვაგვარი განმარტების მინიჭება (მაგ. გარიგებისათვის).

umdrehen შებრუნება.

Umgang (M.) 1. ურთიერთობა; 2. მოქცევა; 3. მოპყრობა; sorgsamer ~ ფრთხილი, მზრუნველობითი მოპყრობა; Recht auf ~ mit dem Kind შვილთან ურთიერთობის ქონის უფლება.

Umgangsrecht

